



საქართველოს
საბავშვო ჟურნალი
№ 8

„პროეტრი“

№ 8

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და
საქ. განსახორმის ერთთვი-
ური ჟურნალი

ა ბ ვ ი ს ტ ო

1935

წელიწადი მე-11

კელაქციის მისამართი:

კიროვის ქ., № 7.

ს ა ხ ე ლ მ ა მ ი,

საგ. ლაქსა. სექტორი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. პეპელების კოლექცია (ლექსი) — მიმქრალისა	1
2. დღე ბანაკში (ლექსი) — მ. ებრალიძისა	1
3. ზაფხულის დღე (ლექსი) — ხანდრო ულენტიხა	2
4. წვიმა (ლექსი) — შ. სამადაშვილისა	3
5. ჩვენი ბალი (ლექსი) — ვახ. პეტრიაშვილისა	3
6. მედეა (თავი წიგნიდან „კოლხიდა“) — როდიონ ქორჭიასი	3
7. ჩვენს მკითხველებს	5
8. წყალდამსაზი — პაპა ლადოსი	6
9. აღარ დაბრუნდა (მოთხრ.) — კლავდია დევდარიანისა	8
10. ერემო (მოთხრ.) — ლავრ. ჭიჭინაძისა	10
11. ედიშა (მოთხრ.) — სამსონ გერგიშვილისა	11
12. პიონერმოძრაობა და საჰაერო თავდაცვა — ს. ზოგატირევა	13
13. ივანე მიჩურიხი — ს. ყარაღაშვილისა	14
14. ეთნოგრაფიული წერილები — დოც. გ. ჩიტაიასი	16
15. პიონერებს — რანისა	19
16. ზღვის საშინელება (რუსულიდან) — ფარცხანაღელი	19
17. რაზმი ლაშქრობის დროს — მ. ზანგენისა	20
18. ჩვენს ჟურნალს (ლექსი) — მერი პეტრიაშვილისა	22
19. ათწლედ დამთავრებულებს (ლექსი) — გიგო ხერხეულიძისა	22
20. თხების გაყოფა (არაკი) — გ. ლომთათიძისა	22
21. „ბიჭო გოგია“! — ლადო გულაშვილისა	23
22. დარაზმულან ფრიადებით — ვლადიმერ სულაბერიძისა	23
23. 145 კარი — თარგმ. მ. გიგაურისა	24
24. ქრონიკა, რეზუსი და ამოცანები.	

სარედაქციო კოლეგია

პ/მგ. რედაქტორი: აპ. რახვიაშვილი.

პ/მგ. მდივანი: როდიონ ქორჭია

წევრები: ლ. ბახვიანი, ნ. ჩარკვიანი, მ. ჭუჩუაშვილი, შ. თაბუკაშვილი. ე. ახვლედიანი.

ბტილისტი: — შ. თაბუკაშვილი.

გამომგვები: ს. ხვიჩია.



უპ, რა ჭრელი პეპელები
წამოშლილან მინდვრად,
ყველა მოდგმის, ყველა სახის,
რა ფერისაც გინდა:
თეთრა, ყვითლა, ცისფერფრთება
ქალა, წითელღენტა,
და ათასი ნაირები,
მოფარფატე კენტად.
სურნელოვან ბალახებში
უხარიათ ფრენა,
სადაც გივის ყოველ წუთში
უყვარს გადარბენა.


თავს ევლება მინდვრის ვარდებს,
ნაზია და სუფთა,
იბადება ბალახებში
და ყვავილით სუნთქავს.
— ჩემს თეთრას კი მაინც ვერ სჯობს
შეედავა თინა,—
მზეზე ისე მოკისკასებს,
როგორც ბროლის მინა,



ახლაც აგერ მისდევს ყვითლას,
დაიჭირა კიდევ...

არ დაატყდეს ნაზი ფრთები,—
თითებს ფრთხილად ჰკიდებს.

— შეხეთ, შეხეთ, რა კარგია—
ხტის და ყვირის გივი,—
სირმასავით ყვითელ ფრთებზე
აზის ოთხი მძივი!



— და არ იცი რა მავნეა,
ლორმუცელა თახჩა,
კომბოსტოზე იბადება,
ანადგურებს ბაღჩას!
მაგისათვის ახი არის
ქინძისთავი მწველი.
მოდო, კარგად ჩააბნეო
არ შეგიკრთეს ხელი!


მიმტრალი

დ ლ ე ბ ა ნ ა კ შ ი .

სუფთა დილა. სძინავს სოფელს,
სძინავს ბანაკს ტკბილად,
ბავშვებს ვილაც ჩასჩურჩულებს:
—დილა არის, დილა...

და ვარდივით წითელ ლოყებს
მზე აკოცებს ოქროს თმებით,
მოედინდან ჭექს საყვარი,
დროა ახლა გაღვიძების!

აიშალნენ; ნიშანსვეტთან
ყვავილების რიგი გაჩნდა..
მახალისებს, როცა გზედავ,
სიხარულის არის განცდა.
ამ ყვავილის თაიფულებს,
სამურად გადაშლილებს,
ხელმძღვანელი გადმოაყურებს,
უფლის ისე, როგორც უვილებს...





დღესაც, ახლა ჩვეულებრივ
 უხარიათ რაზმის ბიჭებს
 ზოგი მტკვარზე, ზოგიც შორს, შორს
 მწვანე ტყეში რომ გაიჭრეს...
 გაიფანტნენ... ვინ სად მოდის,
 რომ დაწუროს დილა მშვიდად,
 შემდეგ წიგნი ან სხვა სახის
 დასვენება მიიზიდავს...
 აგერ ტყიდან ბრუნდებიან,
 მოაქვთ ბიჭებს უხვად ფიჩხი,
 კიბხულობენ დღის რეჟიმის
 მსვლელობაზე ვინ რა იცის...
 დატვირთული ათას ფერით
 დღე ხალისით დაიწურა,
 მხიარული ეს სოფელი
 ღამის საბანს დაიხურავს..

მოედენთან შეიკრიბენ,
 ჟრიაშული ატყდა ისევ,
 ჟღერს ორკესტრი, თითქოს ბგერებს
 ესმით ბავშვთა სიხალისე.
 დღის შედეგებს უსმენს ყველა,
 ვინ სად იყო, ვინ რა ნახა?
 ვინ რა წიგნი წაიკითხა,—
 ყველა ითქვა სრულად ახლა.
 შემდეგ, გვიან, ცეცხლის ალი
 ანათებდა ღამაზ ლოყებს,
 გაემართათ საუბარი,
 არეძინათ სოფლებს, ქალებს.
 აქ ცეკვაედენ ცეცხლის ალთან.
 მოგიზგიზე სანამ ენთო,
 ჩამოუშვეს დროშა დაბლა
 და ბანაკი ძილს მიენდო...

მ. შტრალიძე



დღეს დილიდან აღმური დგას,
 თითქოს დადნა მიწა სიციხით,
 მზეს თანდათან ემატება
 ელვარება მწველი, ფიცხი.

თითქოს დაჰკნა ირგვლივ მწვანე
 და ეცვალა ფერი ფოთლებს,
 გადაშლილი ველის სივრცე
 მზის სხივებმა წითლად მორთეს...

მოერია სიციხე ყველას,
 ეზოში კი დარბის ლეკვი,
 სუნთქავს ენაწავარდნილი,
 ხის და სახლის ჩრდილებს ეკვრის.

ცხელა, ცხელა, ასეთ დარში
 თითქოს დაჰკნა ირგვლივ მწვანე...
 ბრგე ბიჭებიც შესევნიან
 ტანაქორილ და ლურჯ ყანებს.

და ხანდახან ნანატრივით
 ჩაიქროლებს სიო წყნარად,
 დობილოდან სიმღერის ხმა
 მოაქვს გულის გასახარად.

დილა იყო ცვართ სავსე,
 ღამე მოვა ისევ კარგი,

დღეს სიციხეა, და სიციხეში,
 კოლექტივი ყანას მარგლის.

მხიარულად მიაქვთ სვრელი,
 შავი მიწა თოხებს ლესავს,
 ლაპლაპებს და კიდევ უფრო
 ემატება სიციხე მზესა!

შუადღისას იქვე ჩრდილქვეშ
 მოსხდომიან გაშლილ სუფრას...
 რა ტკბილი და საამოა
 მჭადები და კერძი სუფთა!

თითქოს მინდვრად ნადიმი აქვთ,
 იქ სიცილი დაღლას ფანტავს...
 რომ გაიგო ყველაფერი,—
 უნდა იყო ახლო მათთან!

უნდა ნახოთ აქ ბავშვებიც,
 რომ იჩენენ ზრუნვას, ალერსს;
 კოხტა ხარებს, ხბოს და ძროხებს
 არ აკლებენ ლორთქო ალერდს.

ცხელა, ცხელა, ასეთ დარში
 თითქოს დაჰკნა ირგვლივ მწვანე...
 სიმღერა და თოხი მჭრელი
 ახალისებს გაშლილ ყანებს!

სანდრო შტენდი

ჩვენ ბალი



ყუყუნა წვიმა მოვიდა,
 როგორც მშობელის ნანა.
 შარებისა და ხრამების
 დაიწყო ზრუნვით ბანა.
 სადაც მრისხანე ხევია,
 თავქვე დის წყალი მღერიო...
 წვიმაზე აღრე სწვევია
 შვილებს ბუდეში მწყერი.
 ტყე დაინაშა, კურდღელი
 ბუჩქებში გაინაბა.
 ჯანმგარი და კულდძელი
 მაინც ბალახობს ლაბა.
 ნაბადში შეხვეულია
 ნახირის მცველი გელა,
 შიში არა აქვს სრულიად,
 თუმცა მარტოხელა.
 განარებული სოფელი
 სიცივეს არ იკარებს.
 შეაღებს ჯანზე მყოფელი
 უხვი მოსავლის კარებს.
 და, როგორც ცაზე ღრუბელი,
 სოფლად ირხევა ხმები:
 — იწვიმე, ყანებს, ვენახებს,
 რძისავით შეერგები!
 კარგი ხარ და სარგებელი,
 წვიმაო სანეტარო,
 ახლაა შესაძლებელი
 კარვად დამსხვილდეს ტარო!

შ. საგადაფილი

როგორ წითლად დაკუნწულა
 ჩვენი გოგრა ბალი,
 წვეროები ულაპლაპებს,
 მან მომპარა თვალი.
 ჩიტები ზედ ყივყივებენ,
 გალობს „ბიჭო გოგი“,
 თითქოს ფოთლის შარიშურით
 მეც მეძახის მოლი!
 მოდი თორემ ჩიტუნებმა,
 ხედავ გამათავებს,
 შორიდან რომ მიტრიალებ
 მაგ ყუყუნა თვალებს,
 ახლოს მოდი, ნუ გვრცხენია,
 შენც მიირთვი ბალი,
 ჩემთან მოსვლას ვერა ბედავქ
 მაგოტელა ქალი?!
 ასე შორით რომ მიყურებ,
 ძლიერ შევწუხდები,
 მოდი ჩემთან, მოიკაზმე
 ბალის კუნწულებით.
 — რა ვქნა ბალო, გენაცვალე,
 მომიტევებ, ალბათ,
 შენი ბალის უქმელობა
 გულზე მაწევს დარდად.
 მე ციება შემეყარა,
 წამალს მასმევს დედა...
 შენს სიტურფე-სილამაზეს
 თუმცა მეც კი ვხედავ,
 რომ შეგჭამო წამალს ავნებს,
 ვაწყენინებ დედას,
 ამიტომაც, გენაცვალე,
 მოსვლას ვერა ვხედავ.
 რა ვქნა, ბალო, გენაცვალე,
 მომიტევებ, ალბათ,
 დღეს მე შენი უქმელობა,
 გულზე მაწევს დარდად!

გახ. პეტრიაფილი

მეღეა

(თავი წიგნიდან „კოლხიდა“)


ინჟენერმა გადახედა გლეხებს, გაიღიმა და დაიწყა:

— ძველად კოლხიდაში იყო შეფე აეტი. მას
 ჰყავდა ლამაზი ქალიშვილი მედეა. აეტს ედგა მარმა-
 რილოსსვეტებიანი სასახლე. ბალში სამი შადრევანი
 ჩქეფდა: წყლისა, რძისა და ღვინისა. მედეას დედა,
 ჰეკატა გრძნეული იყო და შვილს წამლებისა და
 მალამოს შემზადება ასწავლა ბალახებისაგან. აეტს
 დიდი სიმდიდრე ჰქონდა, მაგრამ მისი განსაკუთრე-

ბული სიმდიდრე ოქროს ვერძი იყო. ამ ოქროს
 ვერძს ვეებერთელა გველეშაპი იცავდა. გველეშაპი
 პირიდან ცეცხლს აფრქვევდა, არასოდეს იძინებდა. იმ
 დროს საბერძნეთში მეფობდა პელეოსი მან შეა-
 გულიანი თავისი ძმისწული გმირი იაზონი, თავს
 დასხმოდა კოლხიდას და ოქროს ვერძი მოეტაცნა.
 სამაგიეროდ შეპირდა ტახტს გადმოცემო. იაზონმა
 შეკრიბა ვაჟაკები, დასხა სომალდზე და გასწი-
 კოლხიდასაკენ. ამ ხომალდს „არგო“ ერქვა, და ამი

ტიმ იაზონის ლაშქრობას არგონავტების ლაშქრობას ეძახიან.

გემი „არგო“ შემოვიდა რიონში. მაშინ რიონს ფაზის ეძახდნენ. იაზონი გამოეცხადა აეტს და მოახსენა მოსვლის მიზანი.



— თუ მოხნავ ყამირს ცეცხლისმფრქვევი ხარებით, დათესავ გველეშაპის კბილებით, მაშინ მოგცემ ოქროს ვერძს — უპასუხა მეფემ.

იაზონს გაუკვირდა: კბილებით დათესილი ყანა რა იქნებოდა და თანხმობა განაცხადა.

მედეას შეუყვარდა იაზონი და მოინდომა მისი ხსნა.

თურმე ის კბილები უცნაურის თვისებისა იყო. დათესილი კბილებიდან სპილენძის მხედრები ამოვიდოდნენ და მთესველს მოჰკლავდნენ. მედეამ ეს იცოდა და იაზონს მალამო მისცა. ეს მალამო იაზონს ხარების პირიდან დაფრქვეული ცეცხლისაგან იხსნიდა. სპილენძის კაცების შესახებ კი მედეამ ასე ასწავლა იაზონს:

— როცა მოხნავ, დათესავ და სპილენძის კაცები ამოვლენ, მათ შუა დიდი ქვა ჩაავდე. სპილენძის მტრებს ქვაზე ცილობა მოუვიათ და გაჟღერდნენ ერთმანეთსო.

მედეამ ისიც ასწავლა, თუ როგორ შეება ცეცხლისმფრქვევი ხარები გუთანში იაზონს.

გლეხები დაძაბულის ყურადღებით უსმენდნენ ინჟენერს. ერთს ცალ ხელში წვერი ჩაებლუჯა, ვიღაც ქალს თავშალიდან ყური გამოეცქვიტა და თმები აეკეცა — უკეთ ვაგიგონოო, ერთ ქალიშვილს ლაყვარდ ცასავით სუფთა ფართო თვალები პროფექტორივით მიენათებია ინჟენერისათვის, კამას და ჯონდოს ღიად დარჩენოდათ პირი და ზევით აეზიდათ წარბები. კაპიტანი გადმოხრილიყო ბაქანიდან და ღმილი აკვროდა ტუჩებზე. გემის ქიშთან შხუოდა ტალღა.

ინჟენერი შეჩერდა. თვალი გადაავლო თავის მრავალფეროვან აუდიტორიას.

— მერე, მერე, ბაბაგე!¹⁾ — წამოიძახა მოხუცმა

— ჭყი...იპ! — იჭყივლა პატარამ.

— ს...ს...ს... — შემოწყრა დედა და პირში მძუღუ-ძუ ჩაუჩარა.

— მწ...მწ...მწ... — ხარბად მოწოვა პატარამ.

დედამ კალათიდან თავშალი ამოიღო და მკერდზე გადაიფარა. კალათში იყო წიგნები, გაზეთები, ბავშვის სათამაშოები. ქალმა თმები შეისწორა და სმენად იქცა.

— ჰო და, — განავრძო ინჟენერმა, — მეორე დღეს გამობრძანდა აეტის თავისი ამალით. გამოვიდა იაზონიც. გამოიყვანეს ცეცხლისმფრქვევი ხარები



შება იაზონმა ხარები. ცეცხლში გაეხვია, — იაზონი არ დაიწვა. მოხნა ყამირი. ამოიღო ვეშაპის კბილები. დათესა. დათესა და...პა...პა...პა... ამოვიდა, მაგრამ რა ამოვიდა. ამოვიდა სპილენძის ჯარი და მობრუნდა იაზონისაკენ. იაზონმა გადისროლა მათ შუა ქვა. მხედრები ეცნენ ერთმანეთს და დაიწყეს უწყალო ჟღერა. ამოხოცეს ერთმანეთი.

აეტმა არ შეასრულა პირობა, არ მისცა იაზონს ოქროს ვერძი. მაშინ, ღამით, მედეამ იაზონი ტყეში წაიყვანა. ტყეს გარშემო შეიდი გალაგანი ერტყა. მეშვიდე გალაგანში ოქროს ვერძს გველეშაპი დარაჯობდა, მედეამ დააძინა გველეშაპი, შემოახვია გარშემო სალტეები და მოკლა. იაზონმა მოიტაცა ოქროს ვერძი და გაიქცა ხომალდისკენ. მედეაც წაიყვანა თან. ხომალდმა ასწია ღუზა და ჩაყვა რიონს. გაქცევისას მედეამ თან წაიყვანა თავისი პატარა ძმა აბსირტი.

¹⁾ ბაბაგე — შვილი (მეგრულად).

მეორე დღეს აეტმა ყველაფერი გაიგო და გამოეკილა გემს. დაეწია. მასინ მედემ მოკლა პატარა ძმა, დაგლაჯა ნაწილ ნაწილად და გადაყარა ნაპირზე. მამამ დაიწყო დაგლეჯილი ნაწილების შეგროვება. სანამ მამა შვილის ნაწილებს აგროვებდა, გემი გავიდა ზღვაში და გაიქცა.

— ძმას როგორ უღალატა შეჩვენებულმა? — თქვა ერთმა ქალმა.

— ჰატ, მაზაკვალი¹⁾ მერე, მერე, ბაბაე! — შეეხვეწა მოხუცი.



— მერე, ბაბა, იაზონი საბერძნეთს დაბრუნდა და ოქროს ვერძი მიართვა ბიძას. ბიძამ ტახტი არ დაუბრუნა. მედემ შური იძია პელეასზე. აი როგორ: ქმრის ბიძის ქალიშვილების თვალწინ დაჭრა ნაწილ-ნაწილ ცხვარი. მოხარმა, შემდეგ შეულოცა და გააცოცხლდა. მედემ შთააგონა პელეასის ქალი შვილებს: თქვენი მამა მოხუცია, თუ იმას უზამთ, რაც მე ცხვარს ვუქენი, გაეახალგაზრდებო. ქალიშვილები, გაბრიყვდნენ, მოკლეს მამა და მოხარშეს ქვაბში

მაგრამ მამა არამც თუ არ გაჭაბუქდა ვერც გაცოცხლდა.

— ჰატ, შეჩვენებული! — ერთხმად ედასძახა გემს მამა — ჰატ, მაზაკვალი!

— არც მედემს დაადგა კარგი დღე. იაზონმა გული აიძრუა მედმაზე, გააგდო და სხვა შეირთო.

— ახია მაგაზე! — დაასკენეს ერთხმად.

სიჩუმე ჩამოვარდა. გემი ქოთქოთით მიარღვევდა რჩონის მღვრიე ტალღებს, ტყით დაფარული ნაპირებიდან ქროდა თბილი ზენაქარი.

— მე რომ მედმა ვყოფილყავი ქმარზე შურს ვიძიებდი, — ცივად და მტკიცედ თქვა ლაევარდთვალა ქალიშვილმა.

— მედემაც ასე ჰქნა: იაზონი რომ დაესაჯა საცოლეს საწამლავეთ გაყენითილი საპატარძლო კაბა მიართვა. პატარძალმა ჩაიცვა, კაბა მიეკრა ტანს და დაწვა. ქალი იგლეჯდა კაბას და მოგლეჯილ ნაჭრებს ხორცის ნაჭრებიც ამოყვებოდა ეს არ აკმარა მედემ იაზონს, შვილებიც მოუკლა. შემდეგ მედმა კოლხიდას დაბრუნდა.

— რა სინიდისით? — გაიკვირვა ხალხმა.

— იმ დროს აეტს დაკარგული ჰქონდა ტახტი ბიძამისმა პერესმა წაართვა. მედმა დაენარა მამას, რძნეულობით დაამარცხა პერესი და ტახტი მამას აუბრუნა.

— აი, ასეთია ოქროს ვერძის მოტაცებისა და მედემს ამბავი. მართალია, ეს ზღაპარია, მაგრამ მართალი აქ ის არის, რომ ძველად კოლხიდა მდიდარი ყოფილა. უცხოელებთან ურთიერთობა ჰქონია. აქედან ოქროც კი გაჰქონდათ უცხოელებს, შემდეგ, დროთა განმავლობაში, კოლხიდა გაღარიბდა. ჭაობმა მოიცვა. ახლა ჩვენ ვაშრობთ ამ ჭაობს და ნაჭაობარში ოქროს ციტრუსებს²⁾ ვაშენებთ.

ინეენერი გაჩუმდა, ტყიდან მოისმა ექსკავატორის კივილი. ყრუდ კენესოდა ტყე. თითქოს ჰქიოდა მომავლადვი ჭაობი და ტყეში კენესოდა მაზაკვალი მედმა.

როდინი მოკრძია

ჩვენს გეოგრაფიას

ამ ნუმრიდან დაწყებული ჩვენ მოვითავსებთ პაპა ლადოს წერილებს. პაპა ლადომ 12 ენა იცის, 40 წლის განმავლობაში სულ ზღვაზეა, მოვლილი აქვს მთელი მსოფლიო, უცხოვრია ველურებში, ბევრჯერ გადარჩენილა სიკვდილს დაღუპული გემიდან და თვითონაც ბევრი გადაურჩენია სიკვდილისაგან. რედაქციის თხოვნით პაპა ლადო წერს მოგონებებს ჩვენი მკითხველებისათვის, რომ გავაცნოთ ისინი ზღვის ამბებს, მეზღვაურთა ცხოვრებას, გემის მუშაობას. პაპა ლადოს, გარდა ამისა, დიდი მუშაობა

აქვს გაწეული საქართველოში პირველი საბავშვო თეატრის დაარსებისათვის. მას ძალიან უყვარს ბავშვები, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მუშაობისათვის ხელისუფლებამ პაპა ლადო პერსონალური პენსიითა და დამკერელის ორდენით დააჯილდოვა.

პაპა ლადოს სამდვილი სამელი და გვარი არის ლადო მარჯანიშვილი: იგი ცნობილი სახალხო არტისტის კოტე მარჯანიშვილის ძმაა. „პაპა ლადოს“ იმიტომ აწერს, რომ კაპიტნებს მსოფლიოს ყველა ენაზე „პაპას“ ეძახიან.

¹⁾ მაზაკვალი — კუდიანი გრძნეული, — ცრუმორწმუნეთა აზრით.

²⁾ ციტრუსი — ძვირფასი ნარინჯოვანი მცენარე. ამოშრობილ ჭაობში ავრცელებენ კოლხიდაში.



როცა ფოთის ნავსადგურში შემოდინართ გემით, თქვენ თვალწინ იშლება ძალიან ლამაზი სურათი. დიდ ნავსადგურს ხელოვნური გალავანი აქვს შემოვლებული. ნავსადგურში ბევრი გემი დგას: დიდი, პატარა, საშუალო. გარეთ ქვეყანა იქცევა აღელვებული ზღვისგან, აქ კი, გალავანს შიგნით, ყველაფერი დამშვიდებულია. არ გჯერათ, რომ ხუთი წუთის წინათ თქვენს გემს ნაფოტივით ისროლა გაშმაგებული ტალღები! წყნარი ტალღები უღონოდ შხაპუნებენ უშველებელ მაკივართან. ამ მაკივრით იგზავნება მთელ კავშირში ათას ტონობით ყოველგვარი საქონელი: ხილი, ხორცი, თევზი, ხიზილალა, ქონი, კარაქი, კვერცხი და მრავალი სხვ. გემი ნელა მიადგა ნაპირს. გემიდან ჩამოდინართ და შედინართ დაბალ ერთსართულიან შენობაში, ეს გახლავთ ვაგზალი. ვაგზალში ფართო სკამები დგას, მოგზაურებს შეუძლიათ აქ უცადონ სხვა გემის ან მატარებლის მოსვლას. მატარებელი სადგურს იქვე უდგება. მარჯვნივ მშვენიერი პალმებით მოწყობილი დარბაზია. ირგვლივ სუფთა მაგიდები დგას. კუთხეში დედათა და ბავშვთა ოთახია. აქ აძლევენ დედასა და შვილს საწოლს, საქმელს და, თუ საჭირო იქნა, საექიმო დახმარებასაც.

დავუბრუნდეთ ნაპირს. გემის მისადგომ ნაპირს რომ ბოლომდის ჩაყევთ, ჩვენს წინ აიშართება ორსართულიანი შენობა. ეს არის ფოთის მუშების სიამაყე: ამ სახლს აქ მუშათა სასახლეს ეძახიან. თუმცა ეს შენობა დიდ არქიტექტურულ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ ფოთის მუშებისთვის საამაყოა.

ამ შენობის პირდაპირ, ზედ ზღვის პირას, აშენებულია ნაცრისფრად შეღებილი სახლი, საიდანაც ბავშვების ჟივილ-ხივილი რომ არ ისმოდეს, ვერც შეამჩნევდით. კარებთან ნახავთ წარწერას „საქართველოს წყალდამსაზი“. შევიდეთ შიგ.

წყალდამსაზის კედლები მოფენილია პლაკატებით. ერთი მათგანი გვასწავლის, თუ როგორ გადავარჩინოთ ადამიანი დახრჩობას, მეორე — ხელის ანბანს (სებაფორს), მესამე — მოტორის აგებულებას, მეოთხე — რადიოტელეგრაფს და ასე შემდეგ. აქ მწკრივად დგას დიდი და პატარა ნაგები, ბაიდარკები, ბოძებზე კიდია რგოლები, სარტყლები, თოკები საცობის ბურთებით და მრავალი ჩვენთვის უნახავი და უცნობი ნივთებითა და იარაღებით. ბავშვთა ჯგუფები უფროსი ამხანაგების ხელმძღვანელობით ატარებენ სხვადასხვა ვარჯიშობას: წყალში ცურაობას, ნავის წაყვანას ხობით და იალქნით, ბაიდარკის ხმარებას, ტანვარჯიშს, ხელის ანბანის გადაცემას და სხვ. პირველად რომ შეხედავთ, გეგონებათ, რომ

აქ ბავშვები მხოლოდ თამაშობენ, მაგრამ როცა დააკვირდებით, ნახავთ, რომ ამ თამაშობაში იძენენ ცოდნას ზღვაზე მუშაობისთვის. აქ თამაშობის სახით აძლევენ ბავშვებს დიდ პრაქტიკულ ცოდნას. ამისთვის უყვართ აქაურ ბავშვებს წყალდამსაზის წრეების მეცადინეობა. უფროსი ამხანაგებიც სავარჯიშო ტანსაცმელში არიან. ისინი ისე უბრალოდ იქცევიან, რომ თქვენ ვერც ამჩნევთ, თუ ყოველი მათგანი დიდ საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებს. ყოველ მათგანს ადამიანი გადაურჩენია, ამიტომაც დაჯილდოვებული არიან მთავრობისგან. ეს ჯილდო კი იცით რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ სხვის გადასარჩენად თავის სიცოცხლეს სწირავდა ადამიანი. მაგრამ განა მარტო ადამიანებს? აქ ბევრი ნივთსაც შეუძლია გვიამბოს მრავალი საინტერესო და დაუფიწყარი ამბავი. დავიწყით ამ ნივთებიდან.

II

აი ორი უცნაური ნივთი — ერთი ზღვაში გასაცვლელად გამზადებული ნავია; აქ დამზადებული იალქნიანი ანძა, ანუ, როგორც ჩვენ ზღვაში ვუძახით, დირეკი დევს ნავის სივრცით. ხობები ან მოსასმელი ნიჩბები, ორი კასრი წყლით, რკალები და სარტყლები, ყუთი ორცხობილათი და კონსერვებით, აფთიაქის ყუთი წამლებით და კიდევ ბევრი სხვა. თვით ნავის აგებულება იზიდავს თქვენ ყურადღებას. ის დიდ თევზ ვეშაპს ჰვავს. მეტ ყურადღებას იზიდავს მისი მეზობლად მდგომი რალაც უცნაური ფართო ბორბლებიან ჯავგზე დადგმული ჩარხი. მას აქვს გრძელი და ორი მოკლე ვეებერთელა კოჭი. ამ კოჭებზე დახვეულია თოკი.

ამ ჩარხის წინ დგას რალაცა ჩხირებიანი რეკული. ამ ჩხირებზე დახვეულია წვრილი თოკი, რომელიც ერთი წვევრით მიბმულია უკან პატარა კოჭთან, მეორე წვევრი კი რგოლით ჩამოკმულია ოთქუთხედ ცილინდრულ რკინის მანქანასთან. ეს მანქანა სამფეხზეა შედგმული. ამ მანქანაში ჩაშვებულია ხისტარბანი შუშუნა. სწორედ ამ ტარზე არის მიბმული ბაწრის მეორე წვევრი. რა არის ეს ნეტავი?

მივიდეთ და თვით ნივთებს შევეკითხოთ. ყველგან ზრდილობა სჯობია, და ჩვენც ზრდილობიანად მივმართოთ.

— „უკაცრავად, ჩვენ თქვენი სახელი არ ვიცით, და გვინდა გავიგოთ, რად დგებართ აქ ცალკე, რატომ წყალში არა ხართ, ან რა მოვალეობას ასრულებთ?“

— „ჩემი ტიპის ნაგებს, — გიპასუხებთ იგი — ზღვაში „ველბოტს“ უძახიან. „ველბოტი“ ინგლისურად ნიშნავს ვეშაპის ნავს. ამ ნავით ვეშაპების დასაჭერად დადიან. ჩვენ ისეთ ანგარიშით გვაკეთე-

ბენ, რომ რაც უნდა დიდი ტალღები იყოს, ჩვენ ადვილად ავდივართ ტალღის ცერზე; ამის გარდა გვერდებში ჩადგმული გვაქვს სპილენძის ჰაერის ყუთები. ამ ყუთების საშუალებით, წყლით რომ ავივსო კიდეც, მაინც არ დავიძირები. ახლა ჩემის თანა ველბოტები ყოველ გემზე აქვთ: თუ გემი დაიწლება, ხალხი გადადის ველბოტებზე და გადაარჩება! ჩვენ ვართ უკანასკნელი იმედი მეზღვაურისა. ამიტომაც გვეძახიან „გადასარჩენ ველბოტს“.

— მერე, აქ რატომ ხართ, რატომ გემზე არა ხართ?

— მე წინათ ვიყავი გემზე, მაგრამ მერე აქ მივიდეს. აქაც იმავე მოვალეობას ვასრულებ. თუ ნაპირის ახლო შეემთხვევა გემს უბედურება, მაშინ ჩვენ გავდივართ ზღვაში ხალხის გადასარჩენად. თქვენ როცა შემოხვედით, შეამჩნევდით და წაიკითხავდით, რომ აქ „წყალდამსახია“. იცით ეს რა არის? ეს ნიშნავს, რომ აქ წყალზე მომუშავეთა დამხმარე საზოგადოებაა. ახლა ამ საზოგადოების დიდი მოვალეობა აწევს როგორც მშენებლობაში, ისე მეზღვაურთა აღზრდაში, და, რასაკვირველია, ხალხის გადაარჩენაც მთლად ამის საქმეა. ძველ დროს კი ამ საზოგადოებას მარტო ხალხის გადაარჩენა ევალებოდა. მაშინ ამ საზოგადოებას უძახოდნენ „წყალში მაშველ საზოგადოებას“, და ერთ სახლში იყო მოთავსებული. ახლა ჩვენ მთელი ნაპირი გვიჭირავს. აი იქ, ბოლოს, რომ გაივლით, ნახავთ რკინით შემოჭრილ პატარა სახლს. წინეთ მე და ეს ჩემი ახმახი მეზობელი ძლივს ვთავსდებოდით შიგ“.

— ჰო, მართლა, ეს თქვენი მეზობელი რა მოხელეა?

— მე, ახმახაგო, — სთქვა ახმახმა, — „როკეტის“, ანუ „შუშუნის ჩარხს“ მეძახიან. როცა გემი ნაპირთან იღუპება და ჩემ მეზობელ ველბოტს ვერ ხმარობენ, მაშინ მე ამამუშავებენ. აი, მოდით ჩემთან ახლოს, ავიხსნით, როგორ ვმუშაობთ. აი ამ სამეფხა გალაჯულ ვაჟბატონს ხომ ხედავთ? ეს ხარბახანია. შიგ ჩაშვებულთა თუჯის ლულა. ეს ლულა შუშუნანაა. ამ ლულაში ერთ ფუთამდის წამალია, როცა ნაპირიდან მივუახლოვდებით იმ ადგილს, სადაც გემი იღუპება, ამ ხარბახანით ვგზავნით შუშუნას. შუშუნაზე დაბმულია წვრილი თოკი, თოკზე მობმულია კიდეც სქელი თოკი, რომელიც დახვეულია ამ პატარა კოჭზე. ეს თოკი გაყრილია ჭაღში. ამ ჭაღს აბაშენ გემის ღირეკზე რაც შეიძლება მალა; ჭაღში გაყრილი თოკის წვერი მიბმულია წვრილ ბაწარზე ნაპირზე მდგომი ხალხი ეწევა ნაპირისაკენ ამ თოკს და თან გემზე გზავნის აი ამ დიდ კოჭზე დახვეულ ბაგირს. როცა ეს ბაგირიც დაბმული იქნება გემზე, ნაპირის ხალხი დასჭიმავს ბაგირს ჭახრაკებით. ამ ამ გაჭიმულ ბაგირზე წამოცმულია ორბორბლიანი ჭაღი, ამ ჭაღზე ჩამოკიდებულია აი ეს შალვრიანი რგოლი და გამართულია ჰაერზე გზა. ამ რგოლში

გემზე მყოფნი თითო თითოდ ჩასხდებიან და გამოვლენ ნაპირზე.

— ჰო... ო... ხედავთ, რა მოვალეობას ასრულებს ეს უშნო ახმახი! — იცინით თქვენ და განაგრძობთ დაკითხვას:

— თქვენ დიდი ხნის უნდა იყოთ. ალბათ, ბევრი ხალხი გადავირჩინათ.

— მე... ძალიან დიდი ხნის ვარ; ინგლისში ამაშენეს გემისთვის. ეს გემი რომ დაძველდა, ბერძნებმა იყიდეს და, რასაკვირველია, მეც თან გამაყოლეს. მახსოვს, ჩვენ სტამბოლიდან შავ ზღვაში შემოვედით, მერე აზოვის ზღვაში. მარიუპოლში გემი დატვირთეს რეღსებით. გამოვედით შავ ზღვაში, თითქმის სტამბოლს ვუახლოვდებოდით, რომ უცებ ქარიშხალი ამოვარდა. ჩვენი გემი ძალიან დატვირთული იყო და ვერ მოერია ზღვის ტალღებს, დაიწყო კენესა. მე და მეორე ველბოტი გემის ერთ გვერდზე ვდგევართ. ხალხი დარბის, ამოვარდა მანქანიდან მექანიკოსი და გემის უფროსს მოახსენა მანქანაში წყალიაო.

— „ამოდით ზევით! — იძახის უფროსი. გემი იღუპება. ჩასხედით ნავებში, მაგრამ ფრთხილად!“

ჩემთან მოვარდენ შეშინებული მეზღვაურები, უფროსის თანაშემწემ რვა კაცი ჩასვა. დანარჩენები ბაწარებზე დადგნენ. გაიარა ერთმა ტალღამ, მეორემ, და გაისმა თანაშემწის ძახილი: — „აბა, საჭებით მზად იყავით! რა წამს წყალს დასწვდეთ, თოკები აუშვით! ნავი გემთან არ მიუშვათ, დაგამტვრევთ. ვინც რჩებით, თოკით ჩაეშვით ნავში ან წყალში ჩახტით. ამხანაგები გადავარჩინენ!“

ათი წუთის შემდეგ თვრამეტი სული გემის მოშორებით ებრძოდა სიკვდილს. მე მაგარი ვიყავი და ყველანი გადავარჩინე. მეორე ნავმა ისუსტა, ის ტალღებმა მიამსხვრიეს გემზე, თვრამეტი სული იმსხვერპლა გაცოფებულმა სტიქიამ. ცხრა დღე მძიმე მუშაობაში და დიდ ბრძოლაში გავატარეთ. მერე ამინდი თანდათან გამოკეთდა. შეგვხვდა ინგლისის გემი, რომელმაც მიიღო ჩვენი ხალხი. მე გემზე ამიტანეს. შევედით ფოთში. აქ გამყიდეს. მიყიდა მაშველმა საზოგადოებამ. მე ვამაყობდი მით რომ 18 კაცი გადავარჩინე სიკვდილს. ახლადმეღებილი ვიდექი ამ საღურში, ეს ახმახი აქ დამხვდა.

— მეტი არაფერი ვახსოვს? — ვკითხეთ ველბოტს.

— როგორ არა. ბნელი ღამე იყო, განაგრძო ველბოტმა, — უცებ მომესმა რაღაც ხმაურობა. გაიღო კარი, ისმის უფროსის ხმა: „აბა, ბიჭებო, მარჯვედ! გემი „ზეფიროსი“ იღუპება. ზედ ცხრა სულია. ვეცადოთ გადავარჩინოთ!“ მე კი ხელი ვადამისვა:

— „აბა, ნავი, გვიჩვენე შენი ღირსება, მოგვეშველე, გადავარჩინოთ ხალხი“.

ჩავსრიალდი წყალში. შვიდი საუკეთესო ბიჭი ჩამოხტა. გავწიეთ და დიდი ბრძოლის შემდეგ მივალწიეთ ნავსადგურის კარებს.

ზღვის ტალღები გალაგანს გადმოდიოდა. აქ დი-
დი ღონე და გაბედულება იყო საჭირო, რომ გალა-
განზე არ დამსხვრეულვიყავი. ბიჭებმა ხენეშას უმა-
ტეს, მაგრამ მუშაობას არ უკლეს. ერთი შესუსტება
და ჩვენც გალაგანზე მიგვამსხვრევს. როგორც იყო,
გარეთ გავედით. „იალქანი“! — მოისმა ბრძანება.
გაიშალა იალქანი, და მე მომეცა საშუალება ამე-
სრულებია ჩემი მოვალეობა.

— ვინ ვის. — შესძახეს მეზღვაურებმა ტალღებს
და გაუმართეს სასტიკი ბრძოლა. დიდხანს გაგრძელ-
და ბრძოლა.

მთასავით აგორებული ტალღები ზედ გადაგვიფ-
ლიდენ ხოლმე. ავივსე წყლით. ბიჭებმა ჩაავლეს ხე-
ლი კასრებს და წყალი ხელათ ამოწურეს ჩემი მუ-
ციდან. მივქროლავეთ გემისკენ მისაშველებლად.
გემიდან წამდაუწყუმ შუშუნები ამოდის და ღამის
წყვდიადს არღვევს. შუშუნები ზღვაში გაჭირვების
ნიშანია. ჩვენც დავანთეთ მათხალა. ვუახლოვდებით
„ზეფიროსს“. ახლა უკვე კარგად მოჩანს განათებული
გემი, რომელსაც ატრიალებს მთის ტოლა ტალღები,

გემის ირგვლივ აქაფებული წყალი ღმუის. კარგად
ვხედავთ, თუ რა ემართება გემს ცხვირში, ჯაჭვის
გამოსავალში, თუჯისწლები გამოვარდნილა. დელ-
ვისგან გაჭიმული ჯაჭვი ჭრის და გლეჯს ცხვირის
ფიცრებს. ცოტა კიდევ — და გემი შუაზე გაიპობა და
დაილუბება. გემიდან ნაფი მოუგლეჯია ტალღას და
მის ნამტვრევებს ზღვა ხან აქეთ ისვრის, ხან იქით.

ჩვენ შემოვლურეთ და დავუძახეთ, რომ გემის
კიჩზე*) გამოსულვიყვენ და ბაგირი დაეჭირათ.

ბაგირი უცებ მივაწოდეთ, ნაფის იალქანი დავუ-
შვით და გემს უკან გამოვებით.

თითო-თითოდ გადმოვსხით ჯერ ქალი და მერე
ცხრა მეზღვაური. დროც იყო. ძლივს მოვასწარით
ბაგირის მოჭრა და გემის გამოჩრება, რომ შუაზე
გაჭრილი „ზეფიროსი“ ზღვაში ჩაეშვა და თვალიდან
გაქრა. ჩვენ მეტი ზღვაზე აღარაფერი ჩანდა. დი-
დი წვალებით გამოვედით ნაპირას, მაგრამ ჩვენ ყვე-
ლაფერი დაგვაფიწყდა, გვახსოვდა მხოლოდ, რომ
ათი სული სიკვდილს გადავარჩინეთ“.

პაპა ლადო

(გაგრძელება იქნება)

ა ლ ა რ დ ა გ რ უ ნ დ ა

— გაზეთი, გაზეთი „ანბრიფ“ „ოლიოკიში ბეო-
ბახტერ“! ახალი და საინტერესო ამბები! — რაც მა-
ლი და ღონე აქვს ვაკივის პატარა ოტო, მარად
დარბის ბერლინის მთავარ ქუჩაში, ეტანება ტრამვა-
ის, ეტანება ავტობუსებს და ტაქსებს, მაგრამ მას
ბედი არ სწყალობს. პატარა ოტო ვერ სწვდება ავ-
ტობუსების და ტრამვის ფანჯრებს, მას უფრო
ძლიერები ასწრებენ, ხელს ჰკოვებ და ხელგაო-
წვდილ მუშტარს ხელი ან აცლიან.

— გაზეთი, გაზეთი! — კვლავ გაისმა ოტოს სა-
სოწარკვეთილი ხმა.

რა ქნას, რომ პატარაა, მას სახლში სამი სული
ელოდება, სამი მშვიერი ადამიანი უკედის პატარას:
ავადმყოფი დედა და ორი პატარა და.

ოტოს აგონდება ყველგვერი ეს, ცრემლები ახ-
რჩობს, ნაბიჯს უმატებს, სწრაფად გადარბის ერთი
ადგილიდან მეორეზე და ხან აქ, ხან იქ გაისმის სა-
სოწარკვეთილი ხმა.

ავერ ოტო მირბის ავტობუსებთან. რამდენიმე ხე-
ლია გადმოწეული გაზეთისათვის, მაგრამ მას მოზ-
რდილმა ბიჭმა მოასწრო, მგზავრებმაც თავი არ შე-
იწუხეს მეტად გადმოხრილიყვენ, და პატარა ოტომ
კვლავ დაკარგა მუშტარი. მას ცრემლები ახრჩობს,
უნდა იყვიროს, გააგებინოს ყველას, რომ მას შია,
რომ გუშინ სადილის აქეთ არაფერი უჭამია, რომ
მას სახლში სამი მშვიერი უკედის!

პატარას თვალები ცრემლებით ევსება, უნდა იყ-
ვიროს, ქვეყანა შეძრას, გააგებინოს ამ უსულგულო
ადამიანებს, რომ იგი მშვიერია. პირს გაალებს და
კვლავ გაისმის ჰაერში მისი აკანკალებული ხმა.

ლოდინით გამწარებულმა ერთ საღამოს კისერზე
შემოხვია ხელი უხმოდ მტირალ დედას, რომელსაც

ლოყებზე ცრემლები დაბალუბით ჩამოსდიოდა, და
თავისთვის უჩვეულო ხმით უთხრა:

— გაზეთი, გაზეთი „ანბრიფ“, ახალი ამბები!

მოიქანცა ოტო. იგი უკვე აღარ ყვირის, აღარც
ისე სწრაფად დადის. მისი გონების წინ სწრაფად
იშლება მისი ხანმოკლე, მაგრამ ტანჯვით საესე
ცხოვრება.

ოტი მუშის შვილია. მათი ცხოვრება ჩვეულებრი-
ვი ნაბიჯით მიდიოდა. მაგრამ ქარმა სხვა მხრით
შემოიღებრა. მოხდა ფაშისტური ვადატრიალება.
დაკარგა მამამ სამუშეო და მათ ოჯახში ნელი ნა-
ბიჯით შემოიპარა უბედურება.

ერთ ღამეს მათ თავს დაესხნ და რეზინის ჯო-
ხებით ნაცემი მამა თან წაიყვანეს.

აი ახლაც თვალწინ უდგია ოტოს მამის სახე, მი-
სი ნაღვლიანი თვალები, როცა მან უკანასკნელად
შემოხვდა თავის უსუსურად დარჩენილ ცოლშვილს.

ყოველ საღამოს ელოდა მას ცივ ლოგინში წა-
მომჯდარი დედა, რომელსაც გარს შემოსხდომოდენ
პატარები.

და ასე იხდენ ყოველ საღამოს დედა-შვილი.
ელოდენ, ელოდენ მწარე ფიქრებით. ყოველი ფა-
ჩუნი კარებთან, ხმაური ქუჩაზე იპყრობდა მათ ყუ-
რდლებას.

შიმე იყო ლოდინის წუთები. გადიოდა საათები
მამა კი არსად იყო. სილატაკე და შიმშილი ისად-
გურებდა ოთახის ყოველ კუნჭულში.

დედასთან ერთად ყველაზე მეტად იტანჯებოდა
პატარა ოტო, გრძნობდა იგი, რომ ავადმყოფ დედა-
სა და პატარა დებს პატრონობა უნდოდა.

*) კიჩი — გემის უკანა ნაწილია.

— ნუ ტირი დედა, მე ვიმუშავებ, მოგივლით და როცა დიდი გავიზრდები, წავიდეთ იმ ქვეყანაში, სადაც მუშები კარგად ცხოვრობენ, გავიპაროთ საბჭოთა კავშირში.

დედამ უხმოდ შემოხვია ხელი თავის პატარას და მისმა ცრემლებმა ოტოს თმები დაუსოლა.

ყოველდღე ოცნებით სავსე ოტო გაზნებით იღლიაში გარბოდა ბერლინის მთავარი ქუჩებისაკენ.

ოცნებობდა.

გაჰყიდის ბევრ, ბევრ გაზეთს, იყიდის პურს, შაქარს, კარტოფილს...

ამაყობდა პატარა მშრომელი.

მაგრამ მისი მუშაობა არც აგრერივად ნაყოფიერი იყო, ნახევრად მშვიდრი მიათრევდნენ ტანჯულ ცხოვრებას.

დღეს კი ოტოს ბედმა თითქმის სამუდამოდ უღალატა. გაზეთის მხოლოდ რამდენიმე ნომერი ძლივს გაყიდა და რა უნდა უქნას რამდენიმე გროშმა, რომელიც მან აიღო!

ხედავს ოტო, რომ დამდება, იგი შორს დგას, ქალაქის სულ მიყრუებულ უბანში. მან დროზე უნდა წავიდეს, თორემ დედას შეეშინდება.

შემშლილ დაოსებულ ბავშვი უკანასკნელ ძაღლონეს იკრებს, კვლავ მარდად დარბის ქუჩიდან ქუჩაზე და კვლავ გაისმის მისი სასოწარკვეთილი ცრემლნარევი ხმა:

— გაზეთი, გაზეთი „ფოილკიშე ბეობახტერ“. ახალი ამბები!

უკვე დაღამდა, აბრჭყვივალდნენ ელნათურები. ოტო მაგრად უჭერს ხელს რამდენიმე გროშს. თვალეები ცრემლებით ევსება. რა ქნას, უნდა წავიდეს სახლისაკენ!

ბავშვს ბრაზი ახრჩობს, ცრემლები ყელში ადგია. რა უნდა უქნას ამ ფულმა სამ მშვიდ ადამიანს, მერე თვითონაც ხომ მშვიდია!

რა ქნას? ტრამვაიში ჩაჯდეს და ისე წავიდეს სახლში, — ამდენი ფული რომ არ აქვს!!

ისევ ფეხით გაუდგება შორეულ გზას.

პატარა ოტო ძლივს მიფრატუნობს შემშლილ და დაღლილობით დაოსებული, თან გულზე ნაგრად მიუკრავს დამუჭული ხელი, სადაც რამდენიმე გროში აქვს, თითქოს ეშინია ესეც არაღ დაკვიროგო.

აი, გაიარა პურის დუქანთან, ცხელი პურის სუნმა ბავშვს თვალეები დაუბნელა.

ერთი ლუქმაც რომ იყადო, სულს მოითქვამს გაშალა აკანკალებული ხელი, დახედა თავის გროშებს. არა, არ ეყოფა, რა უყოს მერე დედასა და

პატარა დებს?! კვლავ მაგრად მომუჭა ხელი და გაუდგა გზას.


ხედავს იგი ბედნიერ მგზავრებს, რომლებიც შინისკენ მიიჩქარიან პარკებით. ვინ იცის, შინ როგორი გემრიელი საქმელებია! უყურებს ყველა ამას და ცრემლები ახრჩობს, თვალეები უჭრიალებს, გონება ერევა, დაოსებულ ფეხებს ძლივს მიათრევს. უცრად პატარა ოტოს რაღაც დაეტაკა და ძირს დასცა.

გაკრიალებული ავტომობილიდან — ჩასუჭებული ფაშისტის სახე გამოჩნდა. მას წესრიგის თეთრიხელთათმანებიანი მიუახლოვდა და მოახსენა: თქვენმა ავტომ-გაზეთის გამყიდველი მაწანწალა გასრისა.

შემფოთდა ჩასუჭებული ფაშისტი, რომ მას გაუბედეს და ასეთი უმნიშვნელო ამბისათვის შეაჩერეს. ხრინწიანი ხმით შეუტია შოფერს — გასწი.

მილიციელს პასუხიც არ აკადრა. ავტო გასრიალდა ოტოს სისხლით მორწყულ ქუჩაზე.

სისხლში მცურავი პატარა ოტოს ხალხი გარს შემოეხვია. ბავშვს თვალწინ მამის ლანდი აეტუზა, პატარა წამოიწია, სახე გაუბრწყინდა, უსიცოცხლო თვალეები სივრცეს მიაშტერა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახა.



— მამა... მა... მე... ოტომ მოწყვეტით გაიქნია თა ვი, მარჯვენა ფეხი უკანასკნელად გაასაგსავა...

ბნელ და ცივ ოთახში ეძინა ორ პატარა მშვიდ გოგონას. გაფითრებულ დედას თვალეები ბნელი სივრცისთვის მიეპყრო.

იგი ელოდა ელოდა, მისი ჩალურჯებული ტუჩები კი უხმოდ იმეორებდა:

— აღარ დაბრუნდა, აღარც ის დაბრუნდა...



1

წელს მახარაძის სახელობის კოლექტივს კარგი სიმინდის ყანები აქვს, და დიდი მოსავალი იქნება. ჭალბებში სიმინდის ყანები გრუხა ტყესავით არის ჩანდგარი. ამიტომ, განსაკუთრებული ფონდის შესანახად, სხვა სოფელში, მოზრდილი ბელელი შეიძინეს.

წინა დღით დიდი სიხარული ტრიალებდა კოლმეურნე გლეხების უბანში. ურმები გაბართეს და სამგზავროდ მოემზადნენ. უთენია უნდა წასულიყვნენ, ამიტომ გლეხებმა ადრე დაიძინეს.

წყნარი ღამეა.

მთვარე გვიან ამოვიდა. მაღალი ხეების ხშირ ტოტებში ის ცეცხლის ბრიალა ალივით მოჩანდა.

სოფელი გაკაშკაშდა, სინათლეზე ამოვიდა.

ხეებმა გრძელი ჩრდილები გაიკეთეს.

ეზოში ერემოს ძალი გამოხატა, გააზმორა, მერე ჩაცუცქდა, უკანა თათით გულმკერდი მოიფხანა, წინა თათი ცხვირზე წამოისვა, წამოხატა და პირი გააკლაპუნა.

კუსალა კუდაპრეხილი გაიქცა ღობის ძირებისკენ.

მთვარე ნელა მიიწვედა ზევით. მისი მკრთალი შუქი უზვად ეფრქვეოდა ღამის მყუდროებაში განაბულ სოფელს. ამ დღშილში ხანდახან შრილობდა ფოთლები.

ზატხულის მტრედისფერ ცაზე ღაჟღაჟა ვარსკვლავები კენჭებივით იყო გაბნეული. ამ ნათელმა ღამემ თუ გააღვიძა ერემოს კუსალა, ღობისძირებში რომ დაძვრება, თითქოს რაღაცას ეძებსო.

იგი უეცრად შედგა, მერე გაექანა, მივარდა ღობეს და ყფა მორთო.

კუსალას ყფაზე ერემოს მამას გამოეღვიძა, ლოგინიდან თავი წამოყო.

წინისკენ წამოსულ თმას ხელი გადაჰკრა და თვლებში თითები ამოისვა.

— მგონი დამგვიანებია, — ნამძინარევი ბოხი ხმით წამოილაპარაკა.

ახლონი წამოისხა. ფეხები ქუსლებჩაკეცილ ფეხსაცმელებში წაჰკრა და ისე გამოვიდა კარში. დაბალი აიგინიდან ფეხსაცმელების ფხაკუნით ჩამოვიდა ეზოში, გახედა მთვარეს და მხიარული კილოთი წამოილაპარაკა:

— რა კაი დროს გავიღვიძე! — მერე შუა ეზოსკენ გაიწია და ხმამაღლა დაიძახა: — ფილიპე, ფილიპე, იე!

მეზობელი, თითქოს მის ხმას ელოდა, მამისკენ გამოეხმაურა:

— ვასილა ხარ?

— ჰო, მე ვარ, აბა შენ იცი, ჩამოუარე ბიჭებს, ყველა გააღვიძე, წასვლის დროა.

სოფელში ხმაური შეიქნა, თითქოს განთიადი იყო.

2

სასოფლო შარაზე, ვასილის სახლის პირდაპირ, ოცი ურემი ჩამწკრივდა. ვასილი და ერემო ეზოში ერთმანეთს შელაპარაკობდნენ. მამას ახლოხის ცალი კალთა ქამარში აქვს ჩატანებული. იგი ჭიშკრისკენ მიიჩქარის, მაგრამ ერემო არ ეშვება:

— მამა, რა იქნება, მეც წამოვალ, ხარებს მაინც დაეუღღებები წინ.

— უკან დაბრუნდი, ჩვენ სათამაშოდ კი არ მივდივართ, ბელელი უნდა მოვიტანოთ.

— მერე რა, — ერემო მაინც არ იშლის თავისას. იგი ჭიშკრისკენ მიმავალ მამას ფეხებში მისდევს.

— შე კაცო, ვასილა, რას ემართლები მაგ ბავშვს, წამეიყვანე, ჩვენმა ხარებმა სახლი უნდა შეიტანონ და მაგ თითისივრძე ბავშვს ვეღარ ზიდავენ?! — გამოეხმაურენ კოლმეურნე მეზობლები, ურმებს კოფოებზე რომ უსხდნენ.

— შე ცულღუტო, ამ შუალამეზე რამ გაგაღვიძა? — ესაყვედურებოდა მამა.

— განა გუშინვე არ ვიცოდი თუ? — სიცილით უპასუხა ერემომ, თანაც ეშინოდა, მამა არ გამიწყურესო.

— ოჰოო, რა ხარ...

— დარჩი, შვილო, დარჩი ერემო, — ეხვეწებოდა დედაც.

ერემომ მამის სიტყვაში ხუმრობა შენიშნა, წათამამდა და ურენს მამაზე უწინ შეუხატა.

— ბიჭო, ურემზე რომ დავგიძინოს? ძირს გადმოგაგდებ, — ისევ გაეხუმრა მამა.

— არ დავიძინებ, არა, ოღონდ წამიყვანეთ. მერე დიდი რომ ვიქნები, ბავშვებთან ვიტყვი ხოლმე: ამ ბედლის მოტანაში მეც წილი მიღვესთქო.

გლეხებმა ვადიხარხარეს.

— რა ეშმაკი ბავშვია! ცოდვა არ იყო მაგის შინ დატოვება?!

ურმები დაიდრა.

სოფლის ბოლოზე რომ ჩავიდნენ, ფართო მინდორზე გაიმართენ, წეროების მწკრივივით მოჩანდა ურმები, თითქოს ქარავანი მიდიოდა. მინდვრის ბოლოზე მდინარე იყო. ხარები წყალში თქაფუნით გავიდნენ.

ერემო ენას არ აჩერებს, სულ ლაპარაკობს ან იმღერის, თითქოს მთვარიანი ღამე ხიბლავს, ლამაზად რომ ქათქათებს.

სოფლური სადილობის დრო არც კი იქნებოდა, როცა სავეს ურმები ჭრიალით დაიძრენ. გზაზე რომ გამოვიდნენ, ურმები ისევ მწკრივში ჩააყენეს და გზას დაადგენ.

გლეხები სამსამი კაცი იყვნენ ერთად მოგროვილი და ისე მიჰყვებოდნენ ვაჭარულ ურმებს.

ერემო თავის ურმეს არ შორდება, ხან მარჯვნივ უდგას, ხან მარცხნივ. უკიდია ხელი ურმის უკანა ნაწილზე, ხანდახან ხარებსაც გაუქნევს სახრეს.

ის თვალს არ აშორებს ბორბლებს, ვატყევილ გზაზე ლამაზად რომ მიგორავს. ერემომ უცებ შენიშნა, რომ ბორბალი ძვრებოდა და ყვირილი შორთო:

— მიშველეთ, ბორბალი ძვრება! — ჯგუფად მიმავალი გლეხები უცებ დაიშალნენ და ერემოს ურმეს მიაშურეს. ვასილი ყველაზე წინ მიბოძდა. ერემო ხარებს დაუდგა წინ და ურემი გააჩერა.

— ოჰ, რა ერთ ბეწვზე მოუსწარიო! — ხელი ხელს შემოჰკრა ვასილმა.

— ნუ გეშინია, ვასილო! სულ ადვილია მაგის გაკეთება! — გაამხნევა ერთმა.

— ახლა რაღას იტყვი, ერემო რომ არ ყოფილიყო, ურემი დაგვემტვრეოდა, — თქვა მეორემ და მერე ბავშვს მიუბრუნდა, — ყოჩაღ ერემო ურჩაო! სხვებიც ასე ეძახოდნენ.

ურჩაო ერემოს, ურემი ხიფათს გადაარჩინა.

გლენები ურემს ჩაეჭიდნენ, ბორბალი ისევ მაგრად წამოაცვეს ღერძზე, მერე ღერძს რიკი ჩაუყარეს და გზა განაგრძეს.

შინ მოსვლამდის სულ ერემოზე იყო ლაპარაკი. თვითონაც უხაროდა.

— აბა რა გეგონათ, მგზავრობაში მეც ხომ ვყოფილვარ საჭირო, — თავმომწონედ ლაპარაკობდა ერემო.

შინ რომ მივიდნენ, სავეს ურმებს დედაკაცები შენოეხვიენ ირგვლივ. უხაროდათ, კოლმეურნეობა საერთო ბელელს რომ იღგამდა. ქალებმა ურმების დაცლაშიც კი მიიღეს მონაწილეობა.

— ბიჭო, შენ ცოცხალი ხარ? — გაეხუმრა დედა ერემოს.

— ჰმ... ერთი მე არ ვყოფილიყავი იქ და მაშინ უნდა გეკითხათ, რა მოუვიდოდა ჩვენ ურემს — ისე უბასუხა თითქოს დიდი იყო და იქვე რდილში დაყრილ ფიცრებზე ჩამოჯდნა...

ლავრა ბიზინაძე

მ ღ ი უ ა

მწყემსთა რომელ ბანაკშიც მიხვიდეთ, ასეთ საუბარს მოისმენთ:

— მწყემსი ზაქროსთანა უნდა, ძალლი — ედიშას-ნაირი.

ეს ორი ერთმანეთზე გადაჭდობილი დიადი სახელი დაიბადა ალაზნის ჭალებში მობინადრე მწყემსთა ბანაკში...

მაგონდება, როდესაც პირველად ვაგრძენი ცხოვრების მუხრუჭის მთელი სიძლიერე, როდესაც ჩემს გულს შემოეველო ერთერთი ყველაზე მწარე და ამოუშლელი ზოლთავანი.

ეს იყო დრო ჩემი მოჯამაგირეობისა...

მაშინ გავიცანი ზაქროც.

ორი დაჩაგრული მოჯამაგირის კული შეეთვისა ერთიმეორეს.

კაცს არასოდეს, თავისი ცხოვრებიდან ისე კარგად არ დაამახსოვრდება არაფერი, როგორც მოჯამაგირეობა და, რა თქმა უნდა, მაშინდელი მეგობარიც. ამიტომ მახსოვს ასე აშკარად ზაქროსა და ჩემი განუყრელი მეგობრობა.

ზაქროს დაყვებოდა ერთი უშნო შესახედავი, გრძელბაღნიანი გამხდარი ლეკვი, რომელსაც ახლადდაჭრილ სისხლიან ყურებზე ფაშიშმის ჯალათისაგან ესეოდნენ ბუზების ლევიონები.

მე ის მიძულდა.

ხწირად მომდიოდა ზაქროსთან ცხარე კამათი ამის შესახებ:

— ზაქრო, რად გინდა, მაგ ოხერს რომ დაათრევ, მოაშორე თავიდან.

მაგრამ ის სიცილით მიბასუხებდა:

— მოიცა, სიმონ, ჩემი ედიშა ისეთ ძალად ვაქციო, რომ კახეთში მაგის ტოლი არ მოიძებნებოდესო.

ედიშას წკავწკავი გულში ტყვიასავით მხვდებოდა და ყოველ ფეხის გადადგმაზე მისი სიცოცხლის მოსპობას ვფიქრობდი.

ერთხელ ალაზნის ხიდიდან წყალშიც გადავუძახე, მაგრამ შეძლო წყლის ზვირთებიდან თავის დახწევა... გავიდა თვეები...

ედიშა გალამაზდა. დაჭრილი ყურებიც მოუჩრჩა და ძალღთა შორის ფალაგნის სახე მიიღო...

ავგისტოს დილით, როდესაც კავკასიონას ქედნიდან ამომავალმა მზემ შუბის წვერივით ესროლა დედამიწის მკერდს მოელვარე სხივები, ჩვენც შევხსენით ძროხას ფეხებზე დუშაყები*) და დავყევით ფერდობს ალაზნისაკენ.

რა მშვენიერია კახეთის ბუნება, როდესაც მზის მხურვალე სხივები სახეს გიკოცნიან, როდესაც დილის ცელქი სიღო მკერდზე გეასბორება და ღამით დანამული მწვანე ბალახი გბანს ფეხისგულებს...

ძროხები ნელი ნაბიჯით მისდევენ მინდორს და მადიანად შეექცევიან ნამიან ბალახს.

უცებ ჯაგებიდან რაღაც ხმა მოგვესმა.

გტყვიტეთ ყურები...

*) დაგრეხილი წენელი, რომლითაც მწყემსები საქონელს აბამენ ხოდმე.

აი, ცოტაც — და მოსხლეტილი ნახტომივით იოვარდა ედიშა, ზაქროს ფეხებწინ დაავლო მკვდარი ხოხობი და გატრიალდა.

გვზვერავს მე და ზაქროს, უნდა გაიგოს, თუ როგორ იმოქმედებს ჩვენზე ეს ამბავი.

ჩვენც გვიხარია.

მანაც იგრძნო ეს და გაბუებული კუდის ქნევით დაგვიწყო ალერსი, ნიშნად იმისა, რომ გვაგრძნობინოს: მოიცათ ეს პირველია და ამას მრავალი სხვა მოჰყვებაო.

მზე გადიწვერა.

უკანასკნელად მოავლო სხივები კავკასიონის ქედს და ჩაცურდა გომბორის მთის კალთებზე. მთის მწვერვალებზე დაბანაკებული ღრუბლის ნაგლეჯები ალისფერად აპრილდნენ თითქოს ჩამაჯალი მზე ხანჯლის წვერზე წამოგებულოყოს და სისხლის შადრევანს აქცევდეს ცის სივრცეშიო.

ნიაემაც აიღვა ფეხი.

ჩვენც გავწიეთ ბინისაკენ, ედიშაც მოვკდევეს. მაგრამ აი, წუთით შეჩერდა, ცხვირის ნესტოები გაბერა შენაყნოს ჰაერით და ბუჩქებისაკენ გაექანა.

არ გასულა რამდენიმე წამი, რომ მოგვესმა რაღაც გულშემშარავი ჩხავილიც.

— სიმონ, ხედავ, ედიშამ კურდღელი დაიჭირა.

— მეც ეგრე მგონია, — დავემოწმე ზაქროს.

არ მოგტყუებულვართ. ედიშამ მართლაც მოათრია ნანადირევი კურდღელი.

— შენმა დაწუნებულმა ედიშამ დღეს კაი პატივში კი ჩაგვაყენა, არა? — მეუბნება სახემღიმარე ზაქრო.

— ძალიან.

— ხომ გეუბნებოდი, ედიშა კაი ძალი დადგება მეტიკი...

— შე დალოცვილო, ყველა რომ წინასწარქეტყველი ყოფილიყო, მაშინ ხომ დიდ-პატარაც აღარ ექნებოდა...

— არა, შვილოსან, ედიშამ შეგარცხვინა და ეგ არი, თავს ნულარ იკატუნებ.

— რას ვიზამ...

ასეთ საუბარში გართულნი მივადექით ბინას, გადავებით ძროხები, ცეცხლი დავანთეთ და გემოზე ვივასშმეთ ედიშას ნანადირევი კურდღლის ხორციითა და ცეცხლში ჩაფიცებული ჭადით.

ჩვენ სოფელში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა „გზა სოციალიზმისა“. კოლმეურნეობაში შევიდა ზაქროც, როგორც ყოფილი მოჯამაგირე და ერთერთი უღარიბესი გლეხთაგანი.

კოლმეურნეობა სწრაფად იზრდებოდა.

კლასობრივმა მტრებმა იგრძნეს საფრთხის სია-

ხლოვე და შეეცადნენ ახალფეხადგმული კოლმეურნეობის დაშლას.

მაგრამ გაძნელდა ეს საქმე, გაძნელდა იმიტომ, რომ კოლმეურნეობამ დაბადებისთანავე მაგრამ გაიღვა იდგა ფესვები.

მოჯამაგირეობაში ნაწრთობმა გლეხებმა იციან ცხოვრების მრისხანება, და ისინიც მრისხანედ ხედებიან...

წელს ამინდმა ძალიან შეუწყო ხელი მოსავლიანობას, და მოსავალიც დიდძალი მოდის.

კოლექტივის წევრებს უხარიათ მათი შეერთების პირველივე წლის ასე ბრწყინვალე გამარჯვება, და ეს სიხარული ისეთივე უსაზღვროა, როგორც ოცნება მუდმივ სიცოცხლეზე...

ყანის მკა დამთავრდა.

დაიწყო ლეწვა...

ოხ, რა ბედნიერია გლეხი მაშინ, როდესაც თავის წლიურ ნაშრომს, მინდვრად გაფანტულს, დაბინავებულს ხედავს! თვალი უმზერს, და გული ძლებს.

წყნარი საღამო იყო.

ცის თალზე ვარსკვლავები ოქროს ნაპერწკლებით ელვარებდნენ ჰაერის ეთეროვან ტალღებში.

შრომაში მოქანცულმა ზაქრომ ვერ გაუძლო ყანალებით ჩასაფრებულ ვარსკვლავების თვალბში ცქერას. მოიხურა მაზარა, მიდო თავაზე თავი და შეუმჩნევლად გაიპარა ძილის სამფლობელოსაკენ თვალების მოხუტვისთანავე გადიშალა ფერადი სიზმრების ეკრანი.

აი, კოლმეურნეობამ დაამთავრა ლეწვა. ყველას სახეზე აღბეჭდილია უზომო კმაყოფილება.


კმაყოფილია ზაქროც...

და აი, როდესაც ის ღრმა ძილშია დაკარგული, ამ საოცნებო სიზმრების მორევში დაცურავს, მეგობარი ედიშა გულმოდგინედ ასრულებს მის მოვალეობას.

როგორც იარალში ჩამჯდარი გულადი ვაჟკაცი, ისე ურბენს გარშემო საერთო ქონებას და ნატრობს სიღანმე მტრის გამოჩენას, რომ ზაქრო უფრო დაარწმუნოს მისდამი ერთგულებაში...

აგერ ძნისაკენ გაფრენილ ციციანთელასავით შეირხა სინათლის ზოლი, სიბნელეში ვარბის ვიდაცას ლანდი. ედიშამ შეამჩნია ის და გამოეძგვნა, როგორც თოფიდან გამოვარდნილი გახურებული ტყვია...

ლანდი ვარბის, მისდევს ედიშაც. უნდა დაეწიოს და როგორც ქორმა ჩვილი წიწილი, ისე გაგლიჯოს შუაზე, მაგრამ გაუცრუვდა იმედი... ედიშა ხედავს:



ცეცხლის ნაპერწკალი, რომელიც მან შენიშნა, მოხედრია ძნის ძირს და წითელი გველივით მიძვრება ფრთამოქცეულის გულისაკენ.

— ედიშ, ფიქრი აღარაა საჭირო, უშველე რამე საცოდვე ხალხს, თუ შეგწევს უნარი, უშველე რამე, უშველე! — და ედიშამაც, როგორც შვილის კუბოსთან აქვითინებულმა დედამ, შეღმუჟვლა ცის თაღზე გადმოკიდებულ ოქროს ნანგალივით მოელვარ მთვარეს.

გაიღვიძა ზაქრომ.

ხედავს: კოლექტიველთა წლიურ ნაშრომს მტრის მიერ გაჩენილი ცეცხლი ემუქრება.

ზაქრო მივარდა ფრთამოქცეულს და დაიწყო ცეცხლშებარებულის ძნების განზე ვადმოყრა.

ცეცხლი გაქრა. ზარალი მცირება.

— ყოჩაღ, ედიშ, რომ კარგ დროს გამაღვიძე!

* * *

შუალამეა...

უმთვარო ღამეში დაფენილი თოვლი მკრთალად ანათებს ბუნებას.

ედიშა ემზადება საომრად.

უნდა შეამოწმოს მუხლის გამძლეობა და კბილთა მკრელობა.

ელოდება მოწინააღმდეგეს...

ედიშას მოუთმენლობა ეტყობა, ნერვიულად დაბოტებს ეჭოში.

აგერ გამოჩნდა მოწინააღმდეგეც. ამაყად მობოტებს თოვლიან ვენახში...

ედიშა გამოცდილია, არ მოტყუდება. ფრთხილობს, ხელიდან არ წამოვიდეს და არ შემარცხვინოსო. უცდის მოახლოებას...

აი, ახლა დრო.

ედიშამაც ისკუბა და სარივით დაერჭო ამაყი მგლის ცხვირისწინ.

გაჩაღდა ბრძოლა.

ძირდამპალი ვენახის ჭიგოები იმტყრევა და უშნო ლაწალუწით არღვევს ღამის სიმშვიდეს. ხმაურზე გამოღვიძა ზაქროს...

გამოვარდა გარეთ...

ხედავს — როგორც ორი განთქმული მოჭიდავე ფალავანი, ისე შეფხორტებიან ერომანეთს ედიშა და მგელი.

ზაქრო სწრაფად გატრიალდა უკან, კედლიდან ჩამოიღო მგლისათვის გატენილი საფანტანი თოფი და აი, როდესაც ედიშამ თავისი ძველებური ხერხით მგელს ყანყრატოში გაუყარა თვისი ბასრი კბილები და კისრულით ტომარასავით დაახეთქა ძირს, გამოვიდა ზაქროც.

— ვაი დედასა, ჩემო ედიშ, დაბერდი და დაგიბრიყვა მაგ ტიალმა!

გადმოიღო თოფი, შეაყენა ფეხზე და დაუმიზნა ერთ იმათთაგანს, რომელიც ზევიდან აწვა და გამარჯვებას ღამობდა...

დაიკენესა თოფმა, და დაიკენესა ღრმა ძილში წასულმა სოფელმაც.

მგლის მკერდზე მჯდომარე ედიშა მოჭრილ მუხნასავით დაეშვა ძირს, ის კი, ვისთვისაც იყო გამზადებული ზაქროს თოფი, მოსხლეტილი ნახტომით გადაეშვა ვენახის ღობეზე...

— ღაიმე! ძალი მოეკალი!

და მივარდა ედიშას, რომელსაც სისხლიან კბილებში მაგრად ეჭირა მგლის კისრიდან გამოძრობილი ტყავი, მომაკვდავი თვალები კი მისჩერებოდენ ზაქროს და თითქოს ეუბნებოდენ: ასე შეაფასე ჩემი ამაგიო?

— ე დ ი შ !

დაიღრიალა ზაქრომ და აქვითინებული დაეშვა გაცივებული მეგობრის გვამზე.

სიმონ გარგიშვილი

პიონერმოქმედება და საჯარო თავდაცვა

სოციალისტური სამშობლოს თავდაცვა დღეს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთათვის უდიდესი ამოცანაა. ჩვენ, რასაკვირველია, არავის ვესხმით თავს, არავისთან ომი არ გვინდა, მაგრამ როგორც ჩვენი დიდი მასწავლებელი სტალინი გვასწავლის ჩვენი მიწის ერთ გოჯსაც არ დაუთმობთ არავის.

ცხადია, პიონერებიც დიდის ყურადღებით უნდა მოეკიდნენ თავდაცვის საკითხებს და შეისწავლონ ისინი. პიონერებს თავდაცვის ზოგ საკითხში დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ მშობლებისათვის და მოსახლეობისათვის. გარდა ამისა პიონერები უნდა იცნობდნენ იმ მუშაობას, რომელსაც ქვეყნის თავდაცვა ეწოდება.

ერთერთ ასეთ მუშაობად საჯარო თავდაცვა მიგვაჩნია და ჩვენ გვინდა გამოვეხმაუროთ ჩვენ მკითხველებს ამ საკითხზე.

ჩვენი მიზანია ყოველმა პიონერმა ჩააბაროს საჯარო თავდაცვის ნორმები, არ დაკმაყოფილდეს ამ ნორმით, გააღრმავოს თავისი ცოდნა და გახდეს ავიაქიმის წევრი.

საბჭოთა რესპუბლიკებში ბევრ პიონერრაზმებთან არსებობს ავიაქიმის ნორმ მეგობართა წრეები. ამ წრეებში პიონერები სწავლობენ, თუ როგორ უნდა კითხვა გვემას, რუკას, როგორ უნდა დახატო ისინი, როგორ უნდა მორზეს ანბანის მიღება და გადაცემა, როგორ უნდა გაიყვანო ტელეფონის ხაზი იმავე წრეებში ასწავლიან მშვილდისრობას, პატარა თოფების მოხმარას და ა. შ.

მინდვრად ვასვლისას აწყობენ თამაშობებს. ამ თამაშობათა მიზანია შესამიანი ვახებით მოწამლულ ადგილების გამოცნობა, დეგაზაციის და შენიღბებული ალაგების ცოდნა, როგორ უნდა მოაწყო აირთავშესა-

ფერი თავის სახლში, როგორ უნდა დაიცვა საკვები პროდუქტი და საოჯახო საგნები მომწამლავე ნივთიერებათაგან და სხვა.

ასეთი თამაშობანი სკოლებშიაც საინტერესო იქნება, მაგრამ ამისათვის სკოლაში საჭიროა მოედნები.

თამაშობა რომ ხალისიანი იყოს, წინაწარ კარგად უნდა მოემზადო, ხოლო ამისათვის საჭიროა შესაფერისი ცოდნა და მომზადება.

იმ სახლებში, სადაც საპარო თავდაცვისთან გაცნობილი ბავშვები ცხოვრობენ, ღიდებთან ერთად ბავშვებიც იღებენ აქტიურ მონაწილეობას მოსახლეობის თავდაცვის ჯგუფებში. ამ ჯგუფებში ბავშვები ასრულებენ სხვადასხვა დავალებებს, მაგალითად: ზვერავენ ჰაერს, გარემოს, იჭერენ კავშირს მეზობელ ჯგუფებთან და სხვა. თავდაცვის ასეთი ჯგუფები, სადაც ღიდებთან ერთად მოზარდებიც მუშაობენ, ჩვენ ტფილისშიაც გვაქვს ორჯონიკიძის სახელობის რაიონში ბესიკის ქუჩაზე. აქ შექმნილია სერიოზული რაზმი, სადაც მოზარდებს შეძენილი აქვთ საჭირო ხელსაწყო: კასრები, ვედროები, ნიღბები და სხვა. ბავშვებს ძალიან მოსწონთ ეს საქმე.

ძამასადამე, ყველა პიონერს შეუძლია მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს და თავისი თამაშობაში შეიტანოს საპარო თავდაცვის თამაშობაც.

ეს მეტად საინტერესო საქმეა. სხვა ქალაქებში პიონერები ძალიან ეტანებიან მას. ჩვენი მიზანია ყველა სკოლაში დაარსდეს საპარო თავდაცვის ჯგუფი. ჩვენ მივცემთ ამ ჯგუფებს საჭირო სახელმძღვანელოებს, დავეხმარებით საპარო თავდაცვის შესწავლაში, მოვაწყობთ ჯგუფებმძღვანელებისათვის ორკვირიულ კურსებს. ამ კურსს რომ გაივლის პიონერი მას დაენიშნავთ მისავე სკოლაში შემდგომი მუშაობისათვის ხელმძღვანელად.

იცოდეთ, ამხანაგებო, ეს მეტად საჭირო საქმეა. საპარო თავდაცვა ვინც იცის, იგი საჭიროების დროს იხსნის თავის საყვარელ ღედს, პატარა დიკოს, ძამიას, მამას, ამხანაგს, და, ბოლოს საკუთარ თავსაც. და ყველაფერი ეს შესწავლილი იქნება მხოლოდ და მხოლოდ თამაშობის სახით.

შემდეგ წერილებში ჩვენ გავაცნობთ საპარო თავდაცვისათვის საჭირო ზომებს „პიონერში“.

ს. ზოგატირვა

საპარო თავდაცვის ორჯონიკიძის რაიონის უფროსი.

ი ვ ა ნ ე მ ი რ უ რ ი ნ ი

მიმდინარე წლის 9 ივნისს საბჭოთა ქვეყანა გამოეთხოვა ბუნების შეუღარებელ გარდამქმნელს, იშვიათ მებაღეს და მთელ დედამიწაზე ცნობილ სწავლულს ივანე ვლადიმერის ძე მიჩურინს.

ვინ იყო ივანე მიჩურინი და რით მოიპოვა მან უდიდესი სახელი მთელ ქვეყანაზე?

მიჩურინი დაიბადა 1854 წლის 27 ოქტომბერს რიაზანის გუბერნიის პრონსკის მაზრაში.

მიჩურინის ცხოვრება მეტად საინტერესოა. 20 წლის ახალგაზრდა მიჩურინი მსახურობს რკინისგზის კანტორის მოხელედ პოლტავის გუბერნიის ერთ მივარდნილ პატარა ქალაქ კოზლოვში, რომელსაც ღდეს ქალაქი მიჩურინსკი ეწოდება და სადაც ამჟამად 5.000 ჰექტარზე გადაშლილია საკვირველი მცენარეებით სავსე ჩინებული ბალი მეხილეობის მიჩურინის სახელობის საკავშირო საცდელი ინსტიტუტით. აქვე დაკრძალეს 9 ივნისს ეს უშესანიშნავესი ადამიანი.

მეტად უხალისო სამსახური ჰქონდა ამ მომავალ ღიდ მეცნიერს. სამსახურის შემდეგ 20 წლის ჰაბუკი საკსებით ივიწყებს კანტორის წებოს, რომლითაც ის ბავაჟს აწებებდა იარლიკს და გულმოდგინედ მუშაობს თავის ახლად გაფურჩქნეულ ბალში.

ახალგაზრდა მებაღის საცდელი ნაკვეთი მალე ამწვანდა, და მან კიდევ უფრო დაბეჯითებით და შეუღრეკლად განაგრძო თავისი საყვარელი საქმე. მაგრამ მის ბალში ხეხილი არ იყო მრავალნაირი:

ექვსიოდე ძველისძველი ჯიშის ვაშლი და დახავსებული ჯიშის მსხლები. რა გაეწყობოდა—სხვა ჯიშები ამ ადგილებში არ ხარობს. მცენარეები ადგილსა და ჰავის მიხედვითაა განაწილებული. რაც ერთ ადგილას ხარობს, ის მეორე ადგილას არ მოდის. მაგრამ სწორედ ამ განაწილების დაძლევაშია მიჩურინის მსოფლიო, საკაცობრიო დამსახურება. ადგილობრივი ჰავის ამტანი, შესაფერი ჯიშების მიღებით მან სძლია ბუნებას, მანძილსა და ჰავას. მან გარდაქმნა ბუნება და ადგილობრივ პირობებს შეუქმნა ისეთი ჯიშები, ბუნებაშიც რომ არ არსებობდნენ. მან შექმნა ახალი ბუნება, ახალი მცენარეები. მეფის მთავრობა მიჩურინს არ აჯასებდა სათანადოდ და არც ყურადღებას აქცევდა. აი რას ამბობს თვით მიჩურინი ამის შესახებ:

„მეფის მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა ჩემს მუშაობას.

ჩემთან სანერგეში მოსვლა შეიძლებოდა გაუფლელი ტალახით, მღინარეზე გაღმოსვლა — ფუტურო პატარა ნავით, — ასეთი იყო მთელი (მაშინდელი) რუსეთი.“

საბჭოთა ხელისუფლებამ კი უდიდესი ყურადღება მიაქცია მიჩურინს და მის საქმიანობას. განსაკუთრებით ღიდ ყურადღებას აქცევდნენ მიჩურინს **ლენინი და სტალინი**.

1919 წელს მიჩურინის საცდელი მეურნეობა მიწსახეობის გამგებლობაში გადავიდა და წარმოუდგენ-

ლად გაფართოვდა. 1925 წელს, სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის თავთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობამ მიჩურინი დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო შემდეგ კი მიჩურინი ღებულობს უმაღლეს ჯილდოს—ლენინის ორდენს.

შარშან სექტემბერში მთელმა საბჭოთა ქვეყანამ აღნიშნა მიჩურინის დაბადების 80 წლისთავი და მისი მალეაწილობის 60 წლისთავი.

ამასთან დაკავშირებით სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მიანიჭოს ივანე ვლადიმერის ძე მიჩურინს მეცნიერების და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება, ხოლო დიდმა ბელადმა ამხანაგ **სტალინმა** შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა:

„ამხ. ივანე ვლადიმერის ძე მიჩურინ! ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ თქვენი ნაყოფიერი მუშაობის 60 წლისთავზე სულითა და გულით მოგესალმებით თქვენ, ივანე ვლადიმერის ძე.“

ვისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს მეხილეობის გარდაქმნის საქმეში.

მაგრად გართმევ ხელს.“

მიჩურინმა საბჭოთა ხანაში, 17½ წლის განმავლობაში ორჯერ უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე თავის რევოლუციამდელი მუშაობის 45 წლის მანძილზე.

— საბჭოთა ხელისუფლებამ შემიქმნა ყველა საჭირო პირობები. ჩვენს დროში შრომა და ცხოვრება ადვილია—ამბობდა ის.

მიჩურინის გარდაცვალების შემდეგ ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნერებათა აკადემიის სწორედ ამ დღეებში დასრულებულმა სესიამ გამოსცა განსაკუთრებული დადგენილება მიჩურინის შემკვიდრეობის შესწავლის და დაუფლების სექციის ჩამოყალიბების შესახებ. მიჩურინის საცდელ მეურნეობიდან ძვირფასი მცენარეები დღეს ვრცელდება მთელ საბჭოთა კავშირში და იგზავნება საზღვარგარეთაც.

მიჩურინის ბალი სავსეა საკვირველი მცენარეებით. აქ მსხალს არ ეშინია არც თოვლის და არც ყინვების და იძლევა ისეთ ნაზ ნაყოფს, რომელსაც არა აქვს თესლით სავსე გულიც კი. ასეთი მსხალი შეიძლება სულ მთლიანად ჩაატკბარუნოთ, როგორც კანფეტი.

აქ ხარობენ წითელი ვაშლები, რომელთა ნაყოფის ხორცი მეტად ნაზია და ძალზე წითელი. მქნავი კი აქ წითელი კი არა, არამედ შავია, ჩვეულებრივზე ორჯერ დიდი და სავსებით ტკბილი. ხოლო ყოლო (მალინა)—სუნნელოვანი, წვნიანი და თანაც ისეთი ოდენობის, რომ სამს ძლივს დაიჭერ ხელში. ასეთი საუცხოო ჯიშებით სავსეა ეს საკვირველი ბაღი. მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. მათ დასახელებას უჭირავს წიგნზე უფრო დიდი ოთხი

აღბომი და ეწოდება „მიჩურინის ნაზევაო საუკუნის მუშაობის შედეგები.“

მიჩურინი წარმატებით ახდენდა მცენარეთა ნაყოფიერებას ხელოვნური დამტვერვის საშუალებით და ღებულობდა ისეთ ნაყოფს, რომელიც არ გავდა არც ერთ და არც მეორე წინაპარ მცენარის ნაყოფს, არამედ წარმოადგენდა რაღაც ნარევს, ანუ, როგორც სწავლულები უწოდებენ „ჰიბრიდს.“ და განა ყველაფერი ეს ისე უბრალოდ და ადვილად კეთდებოდა? დაბერტყავდა ერთი ყვავილის მტვერს მეორისაზე და ყველაფერი ამით მთავრდებოდა? რა თქმა უნდა, არა. იყო შემთხვევა, რომ მიჩურინი ახალი ჯიშის დასრულებულ ნაყოფს ელოდებოდა 27 წლის განმავლობაში. ასეთი იყო მიჩურინული პარადისკა, რომელიც არის ჩინეთის ფოთოლქლიავა, ვაშლისა და რუსეთის ბაღების „სამოთხის ვაშლის“ შვილი. ამ ჯიშს აქვს ყინვის გამძლეობის დიდი უნარი, მას არ ეშინია 38 გრადუსი ყინვისაც კი. სხვა ჯიშების გამოყვანას მიჩურინი ელოდებოდა 10-15-20 წლობით. ალუბალს სახელწოდებით „პირველ მერცხალს“ მიჩურინი ელოდებოდა 15 წელსკანადის ფერმერების ყრილობამ თავისი ქვეყნის მკაცრი ბუნების საუკეთესო ამტანად აღიარა ალუბალი, სახელწოდებით „ნაყოფიერი მიჩურინელი“, რომელიც მწიფდება ერთი თვის უფრო გვიან, აგვისტოში, და ხეზე გასტანს სექტემბრამდის. მიჩურინმა მიიღო ისეთი მსხვილი ალუბალი, რომ შეიძლება მისი დატება მოზრდილ ნაწილებად. მიჩურინმა ირკუტსკის ქლიავისა და მონღოლეთის ჭერამის კურკებისაგან მიიღო ქლიავი, სახელწოდებით „ალმოსავლეთის ტურფა“, და ჭერამი—სახელწოდებით „საცერ.“ ორთავე მშენებელი ნაყოფს იძლევა ტამბაკის მიდამოებში. მიჩურინმა მიიღო კაკლის ისეთი ნაყოფი, რომლის რბილ ნაჭუქს თითოთაც იოლად გატეხთ. საბჭოთა კავშირში ვენახი ხარობდა მხოლოდ ყირიმსა და კავკასიაში და ძლივსა აღწევდა დონის ოლქამდის, მიჩურინმა უბრძანა მას გადასახლებულიყო ტამბოვის ახლოს. და ვენახი წავიდა იქ, ხარობს და იყვინთება წვენით. მას არ ეშინია ყინვების.

მიჩურინი მთელ თავის საქმიანობაში და ცდების დაყენების დარგში შემდეგ მიზნებს სახავდა:

ა) ყველაზე უფრო ძვირფასი ჯიშის გამოყვანა.
ბ) ჩრდილოეთის მეხილეობის შექმნა: ვაშლის, მსხალის, ქლიავის, ალუბლისა და სხვების, ცივ პოლარულ წრეებთან მიახლოვება და აგრეთვე ვენახის, ჭერამის და ატამის გადატანა—საშუალო და ნაწილობრივ ჩრდილოეთ ზოლში.

გ) ველური ხეხილის „საქმელ“ მაღალკულტურულ მცენარეებად გადაქცევა.

თითონ მიჩურინი ასე განმარტავს თავისი მუშაობის შინაარსს:

„ჩემი მთავარი ამოცანა, რომელსაც შევსწირე ჩემი სიცოცხლე, არის დაუღალავი მუშაობა სასოფ-

ლო-სამეურნეო ჯიშების გაუმჯობესებაზე. ჩემი მოღვაწეობის 60 წლის განმავლობაში გამოვიყვანე 300 მეტი ახალი ჯიშის მცენარე, რომელთაგან 122 ფართოდ გავრცელდა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.»

მიჩურინი ნაყოფს აძლევდა ამათუიმ გემოს სუნს სიდიდეს და კანის სისქეს. მცენარეთა განუზომელი სამყარო დიდხანია მოლიანად დამორჩილდა მიჩურინს. დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან მიჩურინი იღებდა თესვს, თესვებს, ღეროებს, შტოებს და გამოყავდა ისინი ახალ ჯიშებად, გაბედული შეჯვარების გზით. მიჩურინის ბაღს დღეს შეუძლია დატვირთოს ათეული გრძელი მატარებლები ისეთი საუცხოვო ხილით, რომელიც თითქოს სამხრეთის მხურვალე მზის ძღვენია, მაგრამ მიჩურინი ხომ ხილის გადატანის წინააღმდეგია. ყველგან, ყოველ ოქტომბერში

მკაცრ ჩრდილოეთის მხარეშიაც კი უნდა ხარობდეს ხეხილის ბაღებში. ასეთი იყო მიჩურინის დაგეგმვა. და ეს მან ცდით დაამტკიცა.

მიჩურინის უფარესად მნიშვნელოვან საქმეს საქართველოშიაც უდიდესი მომავალი აქვს, საქართველოს მკაცრად განსხვავებულ სხვადასხვა კუთხეებში, ბარსა და მთაში ახალ-ახალი და შემგუებელი ჯიშების გამოყვანა და გავრცელება დიდი, ძალიან დიდი საქმეა.

ვიყოთ პატარა მიჩურინელები!

გარდაქმნათ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ბუნება!

დავეუფლოთ მიჩურინის ძვირფას მემკვიდრეობას!

ს. ყარაღიზილი

ენოგრაფიული ფერილუგი

ხავსურათი

ტფილისიდან რომ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ პირდაპირი ხაზი გავავლოთ 120 კილომეტრის მანძილზე, ხევსურეთს მივადგებით. იგი მოთავსებულია კავკასიონის ქედის პირიქითსა და პირაქეთში და უჭირავს სამი მდინარის ხეობა: ხევსურეთის არაგვისა (პირაქეთში), ასისა (პირიქითში) და არგუნასი (აგრეთვე პირიქითში — იხ. აქვე რუკა). თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ხევსურეთი მაღალ მთიან ზოლს ეკუთვნის, ვინაიდან მოსახლეობა 1500 მეტრსა და მეტზეა მოთავსებული ზღვის დონიდან. რელიეფი მთაგორიანი და ღრატოიანია, დაკეცილი ადგილი მთელს ხევსურეთში ორად-ორი ბარისახოსი და შატისის.

ხევსურეთის ტერიტორია მთლიანად 97.488 ჰას შეიცავს. ამ ტერიტორიიდან დიდი უმრავლესობა ყინვარებს, მარადთოვლიან მწვერვალებსა და ქედებს, ხრიოკებსა და კლდეებს შეადგენს, ეს უვარგისი მიწაწყალი 58.400 ჰას უდრის, დანარჩენი კი ასე ნაწილდება: საბალახო — 24.000 ჰა., ტყე 11.000 ჰა.; სათიბი — 1.280 ჰა და სახნავი და კარისყურის მიწა — 1.100 ჰა. ზემომოყვანილ რიცხვებიდან ირკვევა, რომ საბალახო და სათიბის ფართობი 26.000 ჰას შეადგენს, ანუ ხევსურეთის ვარგისი ტერიტორიის 75%, ტყე 24% შეიცავს, ხოლო სახნავი და კარისყურის მიწა მხოლოდ 1%-ს. ასეთი ურთიერთობა ვარგისი მიწების სხვადასხვა ჯგუფებს შორის უკანასკნელ ადგილს ანიჭებს მიწის მოქმედებას, ხოლო გამძლო მეურნეობად მეცხოველეობას სახავს. ხევსურეთის სინამდვილეში ეს ასეა კიდევ. ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ.

ხევსური მამაკაცი მეტწილად მაღალი, ახოვანი და გამხდარი ტიპის წარმომადგენელია, ხოლო ჯე-


სური ქალი საშუალო ტანისაა და აგრეთვე გამხდარია. მათი თვალის გუგა ფერით ნარეგია, ისევე როგორც თავის ქალას მაჩვენებლებიც ნაირნაირია.



ისტორიული ცნობა ხევსურეთის შესახებ XVII საუკუნიდანაა დამოწმებული, ამ დროიდან ხევსურეთი საკუთარი სახელწოდებითაა მოხსენებული. უფრო ადრე, XI — XII საუკ.; ხევსურეთის მიწაწყალი ფხოეთის სახელით გვხვდება, ხოლო XII საუკუნის ცნობით ხევსურები ხეიბურებად უნდა ვიგულისხმოთ, თუ საერთოდ გამართლდა ხევსურების ხეიბურებთან გაიგივება. 1770 წლისათვის ხევსურები 5000 სულს შეადგენდნენ, ხოლო 1929 წელს — 7200 სულს. ამ რიცხვიდან ოვით ხევსურეთში მხოლოდ

4500 სულია, დანარჩენი გადასახლებულია — ერწო-
ში, კახეთში და სხვაგან.

ხევისურეთი სამ ძირითად თემათ იყოფა, სამი
ძირითადი ზევის მიხედვით: ბუდხევისურეთი, ანუ
მარჯვალ ხევისურეთი, არხოტი და მიღმა ხევი. ბუ-
დხევისურეთი მდებარეობს ხევისურეთის არაგვზე,
არხოტი — ასას მდინარეზე, ხოლო მიღმახევი არ-



გუნას სათავეებსა და მის შენაკადებზე. სამივე თე-
მის ხევისურნი ქართულად მოლაპარაკე არიან, ხოლო
ამ ენის თავისებურ კილოს წარმოადგენენ. აღსანი-
შნავია, რომ ბუდხევისურეთლები ნამდვილად ხევი-
სურებად არ თვლიან არც არხოტიონებს და არც
მიღმახეველებს. დაკვირვებული თვალი მართლაც
შეამჩნევს განსხვავებას ბუდხევისურებისა და მიღმა-
ხეველების მეურნეობასა და ყოფაში.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ხევისურეთში გამ-
ძლოდ მეურნეობას მეცხოველეობა წარმოადგენს:
საუცხოვო საბალახოები და სათიბები ერთის მხრით,
ხოლო მაღალმთიანი (ალპური) ზოლი მეორე მხრით
ხელს უწყობს მეცხოველეობის განვითარებას. მარ-
თლაც, მეცხოველეობა აქ, მისი ერთი დარგი, საკ-
მაოდ დაწინაურებულია: შერჩეულია საუკეთესო
ჯიში და რძის პროდუქტების დამზადება მაღალ
ხარისხზეა აყვანილი.

ვიდრე მეცხოველეობის დაწინაურებას შევხებო-
დეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ხევისურეთში მეც-
ხოველეობა სხეილდება საქონლის მეურნეობითაა
წარმოდგენილი. იმ დროს, როდესაც ხევისურების
მეზობლები: თუშები, ფშავეები, მოხევეები და სხვები
წვრილდება მესაქონლეობას მისდევენ, ხევისურებს
უმთავრესად ძროხა ჰყავთ და ძროხის მეურნეობას
მისდევნენ, რაც მათ თავისებურებას წარმოადგენს.
ამის გამო ხევისური მთელი წლის განმავლობაში
თავისი შინ იოლზე გადის. თუშის, ფშაველის და
მოხევის მსგავსად როდი დასდევს ცხვარს სხვადა-
სხვა მხარეებში, არამედ უძრავად თავის კართან

ზის და სახლში მეურნეობს. ეს იწვევს ხევისურეთის
კარჩაკეტილობას, ჩამორჩენილობას და ტრადიციე-
ბის ჩაკირულობას. ამაზეა აღმოცენებული ის სუ-
ლისკვეთება, რომელიც გამოთქმულია რ. ერისთავის
ცნობილ დღიურში:

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

ხევისურული ძროხა ჯიშიანია. მისი წველა წლი-
ურად 2000 კილოგრამზე მეტია, ხოლო მის რძეში
ცხიმში 4,5%-ია, იმ დროს, როდესაც ევროპის საუ-
კეთესო ჯიშების ძროხის რძეში ცხიმში 3,5%-ია. რა-
საკვირველია, ხევისურული ძროხის ასეთი თვისებები
მოვლა-პატრონობის შედეგია. ძროხის დაწინაურე-
ბული თვისებები თანდათან უნდა გამოუმუშავებული-
ყო ადამიანის ზეგავლენით. ხევისურული ერბოს მა-
ღალი ლირსებები კარგადაა ცნობილი, ამიტომ ამაზე
აქ არ შეგჩერდებით.

გამძლოდ მეცხოველეობასთან ერთად ხევისური
იძულებულია მიწის მოქმედებასაც მისდიოს. მიწის
სიმწირის გამო ხევისური საყანე მიწის თითოეულ
აღლს საქონლის პატივით ანოყიერებს, ციცაბოებს
აჩაჩით ხნავს და მოყავს ქერი ან შვრია. ყანის მო-
სავალი აქ ძალიან მცირეა, 1:4 იძლევა, ისიც კარგ
პირობებში, თორემ ხშირია შექმთხვევა, რომ ამაზე
ნაკლებიც მოდის, ან კიდევ სულად დაცდება ყანა.
ასეთი პირობების მიუხედავად, ხევისური მაინც იძუ-
ლებულია მიწის დამუშავებაზე არ აიღოს ხელი. თუ
ხევისური პურეულის წლიური სარჩოს ნაწილს შინ
არ მოიწვეს, მას ძალზე გაუჭირდება. ამის მთავარი
მიზეზი უგზობაა. გეოგრაფიული მდებარეობის გამო
ხევისურეთი წელიწადში 7—8 თვის მანძილზე მოწ-
ყვებილია სხვა კუთხეებს. სუსხიანი და ხანგრძლივი
ზამთრის და დიდი თოვლის გამო თითქმის ყველა
გადასავალი იკეტება. ყოველგვარი შეზიდვა წყდება.
აქა იქ მხოლოდ საცალფეხო ბილიკები რჩება, მაგ-
რამ ეს ცოტაა. ზაფხულის პერიოდში შეზიდვა ხევი-
სურეთში უგზობობის გამო მეტისმეტად დაბრკოლე-
ბული იყო. მუშაობა მხოლოდ და მხოლოდ ცხენის
საპალნით შეიძლებოდა. ხევისურეთს არც ერთი კი-
ლომეტრი საბორბლე გზა არ გააჩნდა. ასეთ პირო-
ბებში, ცხადია, წლის სარჩო პურის შეზიდვა, თუ
ვივარაუდებთ ხევისურეთის პრიმიტიულ მეურნე-
ობას, შეუძლებელი იყო. ამიტომ იყო, რომ ხევისური
თავს აკლავდა მიწას, რომ მისგან ცოტა რამ მიიღო
ამოეგო. კალო ხშირად ყინულზე იმართება ზამთარ-
ში, ვინაიდან იქ თოვლის დადებამდის ვერ ასწრე-
ბენ ლეწვას.

ხევისურეთის მეურნეობისათვის არა მცირეა
მნიშვნელობა აქვს მეფუტკრეობასა და ნადირობას.
აქვე ვხვდებით პრიმიტიული წესით ხისა და ლითონის
დამუშავებას. ხის ჯამების დამზადება კოოპერატიული
წესით წარმოებს. მაღალ ხარისხშია აყვანილი შალის
დამზადება. თიხის გამოწვა მეტად პრიმიტიული

წესითაა შემონახული. ეს ხელობა სავსებით ქალების ხელშია.

უნდა ითქვას, რომ ხევისური ქალი შრომით მეტად დატვირთული იყო. ის ეწეოდა როგორც ქალის, ისე ვაჟის სამუშაოს. საქონლის მოვლა, მენახირეობა, თიბვა. შკა, ზიდვა, საშინაო საქმეები, ქსელვა და მრავალი სხვა მის მოვალეობას შეადგენდა.

ქალის ასეთ ყოფას ართულებდა აგრეთვე ცრუმორწმუნეობის ნიადაგზე შექმნილი შეხედულებები, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ხევისურეთის ეკონომიკასთან შეგუებულია ხევისურული სახლი. საყოფაცხოვრებო დანიშნულების გარდა ის ასრულებს სამეურნეო ფუნქციასაც: ის არის არა მარტო ადამიანის საცხოვრებელი ბინა, არამედ



საქონლის სადგომი და ადამიანისა და საქონლის მარაგის საწყობიც. სახლი შესდგება: ბინის (ადამიანის სადგომი), ბაკისა (საქონლის სადგომი), სენესა (სარძევე), „საცხენე ბაგისა“ „ეზორა“-საგან (პირველ სართულში), ჭერხო (მამაკაცის სადგომი, ადამიანისა და ცხოველის მარაგის შესანახავი) წინგარდა (მეორე სართულში), ხოლო „კალო“ მესამე სართულშია, სადაც ინახება აგრეთვე სამეურნეო იარაღები.

მეტად ორიგინალური და თავისებურია ხევისურული სამოსი („ტალოვანი“), როგორც ქალის, ისე ვაჟის. კავკასიის არც ერთ ტომში მსგავსი კოსტუმი არ მოიპოვება. ორიგინალურია იგი თავისი შემაღვნილი ნაწილებით, თარგით და ჰორნამენტებით. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია მეტად მდიდრად. აქ

თქვენ შეხედებით: ოთკუთხანს და კავკასულას, ხატულანს, ცერანს, კვერილონს და სხვას, რომელთაც შემოუნახავთ ძველებური სახელები. ამასთანავე ირკვევა, რომ ამათი (ორნამენტების) დანიშნულება მარტოდმარტო სიამოვნების (ესთეტიკური) თვალსაზრისით კი არ ამოიწურება, არამედ მათ ის დანიშნულებაცა აქვთ, რომ აწითავალისგან (ცრუმორწმუნეობის ნიადაგზე აღმოცენებული შეხედულება) დაიცვან სამოსის მატარებელი პიროვნება.

ხევისურულ ტალიფასთან დაკავშირებით ზოგიერთი მოგზაური-მკვლევარი იმ აზრს გამოთქვამდა, რომ ხევისურები ჯვაროსნელების (ეგროპული) ხალხების კავკასიაში დაშთენილ ჯგუფს წარმოადგენენ, რასაც ხევისურული მამაკაცის ტანსაცმელზე შემონახული ჯვრები ამტკიცებს. ამ აზრს არავითარი ისტორიული საფუძველი არა აქვს. ჯვრების ორნამენტები კოსტუმზე ხევისურეთში აქვთ როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებსაც, ეს ერთის მხრივ, მხოლოდ მეორე მხრით უნდა აღინიშნოს, რომ ხევისურული ორნამენტს ჯვრები უფრო ადრინდელი წარმოშობისაა ვიდრე ჯვაროსნობა და ქრისტიანობა. თავისი გენეზისით ეს ჯვრები (რომელთაც ხევისურები ხატულანს უწოდებენ) წარმართულ დროიდან მომდინარეობენ, როდესაც ეს სახე მზისა და ცეცხლის სიმბოლო იყო.

საგულისხმო თავისებურებას წარმოადგენს აგრეთვე ხევისურული შვილდ-ისარი. აქ თავისებურება მოცემულია შვილდის ლარის დაჭიმვის ორიგინალურ ხევისურულ წესში. სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებულია ექვსგვარი ხერხი ლარის დაჭიმვის: სამი თითით, ორი თითით, სამი თითით (საჩვენებელი, საშუალო და არათითი) ოთხი თითით საცელურის რგოლის და სალტის შემწვობით. ხევისური კი შვილდის ლარს არათითით ეხიდება. მათი მტკიცებით არათითით დაჭიმული ლარი ისარს უფრო შორს ისვრის ვიდრე სხვა წესით. ამ წესით ლარის დაჭიმვას ხევისურები „ჯიგვით“ დაჭიმვას ეძახიან.

როგორც ზემოთ გაცვრით ავლინებთ, ხევისურეთში არ მოიპოვებოდა არცერთი კილომეტრი საზორბლო გზა. მოსახლეობა გადასახიდ საშუალებად იყენებდა ან საკუთარ ძალას ან ცხენს და ხარს. პირველისათვის გამოყენებული იყო გოდორი, ხოლო მეორეებისათვის მარხილი და ჯინი. ზოგიერთ სოფელში მიღებული იყო ცალი ხარის შეშმა ჯინსა და მარხილი. ცალი ხარის შესაბამელ უღელს აქ „მარტოულია“ ჰქვია.

დოც. ზ. ჩიბანი

(გაგრძელება იქნება)



პიონერთა ათიათასები ისვენებენ. ვინ სოფელში არის მშობლებთან და ბედნიერად ატარებს დროს, ვინ ქალაქში, დიდი ნაწილი კი კურორტზე და ბანაკებში გაიგზავნა. პიონერბანაკები უკვე სავსე არიან პირველ რიგის ნორჩი მოაგარაკებით. პირველი წყებისანი რომ თავის ვადას დაამთავრებენ, ბანაკებში მეორე წყება წავა.

პიონერბანაკები ჩვენი პიონერებისათვის ჯანმრთელობისა და კულტურული დასვენების წყაროა. პიონერებმა უნდა შეცოდნენ, რომ გონივრულ დასვენებებას დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგი დასვენება ჯანმრთელობასაც ჰმატებს ადამიანს და ხა-

ლისსაც. ამიტომ პიონერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ბანაკში დისციპლინისა და წესების მტკიცედ დაცვას.

მეტად სასურველია პიონერებმა კოლექტიურად აწკარონ თავიანთი ცხოვრება და შთაბეჭდილებანი და გამოუგზავნონ „პიონერის“ რედაქციას. რედაქცია ბანაკიდან მიღებულ მასალას შეარჩევს და რამდენიმე საინტერესო მასალას გამოაქვეყნებს. ეთხოვთ ცალკეულ პიონერებსაც, ვინც ბანაკობის დროს დღიურს აწარმოებს, გამოგვიგზავნონ დღიურიც. გამოყენების შემდეგ დღიურს დავაბრუნებთ.

რანი

ზღვის საშინელება

(რუსულიდან)

— ლოკნესის ტბაში გამოჩნდა ზღვის საშინელება. მოკლანდილის მცხოვრებნი თავზარდაცემულნი არიან! ზღვის საშინელება! — ყვიროდენ გაზეთის გამყიდველი ბიჭები პარიზში, ბერლინში, ნიუიორკში 1934 წ. 21 სექტემბერს.

გაზეთებში აღწერეს ეს საშინელი ცხოველი: ტანის სიგრძე—50 მეტრი; ტანი დაფარულია ქერცლით. კისერი გველს მიუგავს, სამთავიანია, საშინელი ეშვები აქვს...

მთელი დედამიწის ზურგიდან გაეშურნენ ლოკნესში მოგზაურები— სწავლულები, ტურისტები, მდიდარი უსაქმური ხალხი. ისინი ჩოქოლადებენ ტბის პირას და წყალს ყნოსავენ. ზოობადის დირექტორი წაეჩხუბა ცირკის დირექტორს: ორივეს სურდა ამ საშინელი ცხოველის დაჭერა.

ყველაზე უფრო კმაყოფილი იყო ადგილობრივი ბანკირი ნორტონი: ლოკნესის ყველა სასტუმრო მისი იყო, ახლა კი ერთ ოთახსაც ვერ იშოვიდი ვერცერთ სასტუმროში; ლოკნესის მალაზიებიც მას ეკუთვნოდა, ახლა იქ ბუზივით ირეოდა ხალხი, მყიდველებს ვერ აუდიოდენ.

ნორტონმა ქეიფი მოაწყო და მდიდარი მიგზაურები დაბატოჟა. დიდი და პატარა სულ იმ საოცარ ცხოველზე ლაპარაკობდა. ერთი ახალგაზრდა კაცი ყვე-

ლას არწმუნებდა— ნაპირზე რომ ვიდექი, დავინახე ეს საშინელება, ასი მეტრი მაინც იქნება, თუ მეტი არაო. სულ ეკლიანი კანი აქვს. ბატონებო, მართლაც საშინელი რამ არისო.

სულგანაბულნი უსმენდენ მას.
— ხუთიათასი თეხი აქვს და ოცდახუთი თავი, კისერიც ოცდახუთი!

— არა! ოცდახუთი თავი კი არა აქვს, მხოლოდ სამთავიანია— წამოიძახა ნორტონმა. ნუ ტყუით!

— ვის უბედაეთ ამას! მე თვითონ ვნახე!

— თქვენ თვითონ ნახეთ? ის მე გამოვიგონე, მე! — დაიყვირა გაბრაზებულმა ბანკირმა.

მართლაც ნორტონმა „გამიოგონა“ ეს საშინელი ცხოველი. ბოლო ხანებში მისი სასტუმროები თითქმის ცარიელი იყო, მალაზიებშიც ჩაკვდა ვაჭრობა. მაშინ აღდა ნორტონი და გაზეთებში მოათავსა ცნობა ამ „საშინელი ცხოველის“ შესახებ. გაზეთების პატრონებს კარგა ბლომად აქაბა ფული, რომ ეს სისულელე გაეშვათ...

კაპიტალიზმი იხრჩობა, ის ხედავს, რომ მისი ვადა ვასულია, თავი არ ემეტება, იბრძვის, ათასნაირ ოინსაც მიმართავს, მაგრამ ყველაფერი ამაოა...

ფარცხანაღელი



თბილი, საზაფხულო ამინდის დადგომისთანავე კარგი პიონერხელმძღვანელი არ გაუშვებს შემთხვევას მოაწყოს თავისი რაზმის ბავშვებისათვის ქალაქგარეთ გასეირნება — ექსკურსია, ველად გასვლა, სამხედრო თამაშობანი ან, ვთქვათ, ერთი ან ორდღიანი ლაშქრობა, რომელიც მის მონაწილეებს უდიდეს კმაყოფილებას მოგვრის.

როგორ გამოვიყენოთ წყობილება ლაშქრობის დროს, როგორ შევათვისებინოთ ბავშვებს დისციპლინის ჩვევები, კოლტურული და ამხანაგური დამოკიდებულება? დავიწყეთ ტანისამოსიდან.

ტანსაცმელ-კაზმულობის მოგზაობა


მეტად მოხერხებულ სალაშქრო ტანსაცმელად უნდა მივიჩნიოთ პიონერის კოსტუმი, კოსტუმი შედგება მოკლე შარვლისაგან (თითქმის მუხლების თავებამდის), რომელიც ხაკის ან მუქი ლურჯი ფერისაა, შეკერილი გამძლე ტილოსაგან, ორი გვერდითი და ერთი უკანა ჯიბე აქვს, მათში უკანასკნელი ღილაკი შესაკრავი და ხალათისაგან (უფრო მსუბუქი ქსოვისაა „თუნე-შტურმის“ ტიპისა). ის შარვალშია ჩატანებული. ტყავის ქაშირი 2¹/₂ — 3 სანტ. სივანისაგაიყრება მარცხნივ ან მარჯვნივ ქამრისათვის შარვალზე დაკრებულ მარყუქებში. ფეხებზე მუხლამდის შავი თათმანები (წინდები) და მაგარი, მხოლოდ არა ახალი, არამედ უკვე ნატარი დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები. თავზე დასახურავად ლაშქრობისას კარგია სამხედრო ტიპის ქუდი „პიროჟოკ“ ანდა დიდი სიცხის დროს, ფართო ქუდი. ჩვეულებრივად თვითეულ პიონერს, რომელიც კი მიდის ლაშქრობაში, თან უნდა ჰქონდეს შემდეგი ნივთები: ზურგზე სატარებელი ჩანთა ტვირთით 5 კილოგრამამდის (სიმძიმის სიდიდე იცვლება ამათუიმ ბავშვის ასაკის და ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით), მათარა (წყლისათვის), დახვეული საბანი ან პალტო და საერთო რომელიმე საგანი, მაგ. ქვაბუნა, ჩაი-დანი, ნაჯახი ან ნიჩაბი. ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი სამხედრო თამაშობათა ჩატარების დროს, გარდა ნაჩვენები ნივთებისა, გასამხედროებული ლაშქრობის თვითეულ მონაწილეს მიეცემა საბავშვო აირწინალი. როგორ უნდა მოვითავსოთ სწორად მთელი ეს სალაშქრო საჭურველი?

პირველ ყოვლისა უნდა შემოვიკრათ ქაშირი ისე, რომ იგი მჭიდროდ შემოვრტყას მთელ ტანს (წელს). ქამრის რგოლზე კი უნდა მივამაგროთ სალაშქრო დანა (ჯაყვა). მარცხენა მხარზე უნდა ჩამოვიკიდოთ მათარა (წყლის ჭურჭელი). ჭაბანი კი ისე მოვირგოთ, რომ მათარას კისურა უსწორდებოდეს ქამრის ზედაკიდეს. აირწინალი უნდა ჩამოვიკიდოთ მარჯვენა ბეჭზე, მოვქაშოთ მისი საქამრო თასმა და გადავწიოთ მარცხენა ხელის ქვეშ ისე, რომ ის მოთავსდეს ზურგისაკენ, უფრო ახლო მარცხენა გვერ-

დისკენ. ზურგის ჩანთა უნდა დავიკიდოთ ჭაბანების ისე მორგებით, რომ ჩანთის ქვედა ნაწილი ეხებოდეს წელს.

ჩანთაში ჩალაგების წესი უნდა იყოს შემდეგნაირი: ზევით უნდა მოვათავსოთ მეტად საჭირო ნივთები, უფრო მძიმე სულ ძირს და რბილი კი ჩანთის იმ მხარეს, რომელიც მოთავსებულია ზურგისაკენ.

საბანი ან პალტო დახვეული უნდა იქნეს გრძელ მჭიდრო ხვეულად (სივანე 10 — 15 სანტიმეტრი), რომელიც მსუბუქი დარტყმით გადაიკეცება შუაზე და ბოლოებიდან ოთხი თითის დადების მანძილზე შეიკვრება კანაფით ან ტყავის თასმით. ამგვარად დახვეული საბანი უნდა გადაიკიდოთ მარცხენა მხარზე; არა ნაკლებ მოსახერხებელია ლაშქრობისათვის გავაკეთოთ ხვეული მისი არა მხარზე სატარებლად, არამედ ჩანთის ქვეშ ან მისი ზემოთ მოთავსებით. ამისათვის მეტად მოსახერხებელია, თუკი ჩანთას მის შიგნითა, ზურგისაკენ მიმართულ მხარეს მივაკერებთ „სარქველს“, ე. ი. გამძლე ქსოვილის ან ბრეზენტის ნაჭერს შესაკრავი თასმებით, ჩანთის გარეთა მხარეს კი მივამაგრობთ რგოლებს თასმების შესაკრავად. მოვაწყობთ რა ჩანთას ამ წესით, დავახვევთ საბანს მოკლე, მჭიდრო ხვეულად და მივადებთ ქვევიდან ჩანთას, რის შემდეგ დაეხურავთ „სარქველით“ და მაგრად შევკრავთ თასმებით (ზორ-




ტებით) წინასწარ მათი რგოლებში გაყრით (იხ. სურათი 1). მეორე სურათზე გამოხატულია პიონერი სალაშქრო საჭურველში. როგორც ხედავთ, ქვაბუნა, თუ ის არ ჩაეცია ჩანთაში, ჩამოცმულია ხვეულის ბოლო ნაწილზე. ნაჯახს ატარებენ ჩალითაში, მარჯვენა გვერდით ქაშირზე ჩამოკიდულს. ზუსტად და სწორად მორგებული სალაშქრო საჭურველი ხელს არ შევიშლით შეასრულოთ თქვენი მარშრუტის ყველა გადასვლა ისე, რომ არ დაიღალოთ.

უწინარეს ყოვლისა სალაშქრო საჭურველი არ უნდა აძნელებდეს სუნთქვას, ჭაბანები არ უნდა გაწუხებდეთ და არ გჭრიდეთ სხეულს. ჩანთიდან არ უნდა იყოს ამოჩრილი უხეშად ჩალაგებული ნივთების ნაწილები. თუკი ჭაბანებს ზედმეტად გადავძიმავთ, ეს გამოიწვევს სუნთქვის გაძნელებას, გული არანორმალურად იმუშავებს და მალე ვიგრძნობთ დაღ-

ლილობას, რომელიც ლაშქრობას ნახევრად მაინც დაუკარგავს მოსალოდნელ სიამოვნების ეფექტს. ისიც მავნებელია, თუ კაზმულობა თავისუფლად გაქვთ, არ გაქვთ კარგად მორგებული, თუ მოძრაობისას ყანყალობს და ერთმანეთს ეჯახება.

ასეთი გამოუცდელი მოგზაურის შემჩნევა ადვილად შეიძლება ლაშქრობის დროს ქვაბუნას მათარაზე რახუნით, აირწინადის სანიეთო ჩანთაზე მირტყმით, მისი მალე დაღლით და სხვ. ამგვარად საჭურველის არარეიანიანდ მორგება დაგვიზიანებს სხეულს და გამოიწვევს დიდ დაღლილობას, თუნდაც მოკლე გადასვლების დროს.



გარდა ამისა, სამხედრო თამაშობის დროს ყოველივე ხმაურობა მიიპრყობს „მოწინააღმდეგის“ ყურადღებას, და უდავოა, რომ ის რაზმი, რომლის ბავშვებმა ვერ შეისწავლეს ლაშქრობის საჭურველის რეიანიანდ მორგება, გამოამქლავებენ თავიანთ თავს თავისივე საჭურველის ხმაურობით. პიონერხელმძღვანელის პირველ მოვალეობას შეადგენს ლაშქრობაში გამგზავრებისას ვაუსინჯოს სალაშქროდ მიმავალ ყველა ბავშვს საჭურველის მორგების ვარგისიანობა.

ლაშქრობის წმობილობა და გზის ამორჩევა

ლაშქრობის დროს მგზავრობის ყველაზე უფრო მოსახერხებელი (ხელსაყრელი) წესი არის „სალაშქრო რაზმეულად“ სვლა (იხ. სურათი 3).


იმ ქუჩებსა და გზებზე, სადაც დიდი მოძრაობაა, საჭიროა ვიმოდრაოთ მარჯვენა მხარეზე. ქალაქგარეთ გზატკეცილებზე და შარავზაზე დასაშვებია ვიმოდრაოთ შუაგზაზე. მაგრამ შუაგზაზე მოძრაობა ყოველთვის არ იქნება ხელსაყრელი და მიზანშეწონილი. ასე, მაგალითად, მეტად ძნელია მოძრაობა ისეთ გზატკეცილზე, რომელიც მოკირწყლულია დიდი უსწორმასწორო ქვებით, მოძრაობაში მყოფთ ფეხის ტერფი უბრუნდებათ, ბავშვები იწყებენ ბორძიკს, ფეხსაცმელი მალე ცვდება. ასეთივე მოუხერხებელია მოძრაობა შუა შარავზაზე, თუკი ის დახეთქილია ღრმა კვალებით, მოფენილია ამოღრმავებული ადგილებით, რომლებშიც დგას ტალახი და წყალი, ანდა სქელი მტვრით არის დაფარული.

სად სჯობია მაინც მოძრაობა? ჩვეულებრივად გზის ნაპირზე გატეცილია ბილიკები, რომელზედაც ნაკლებად არის ტალახი და მტვერი.

ამიტომ ყოველთვის სჯობია ვიმოდრაოთ გზის ნაპირზე, რისთვისაც ხელმძღვანელი იძლევა ძახილს: „გზიდა! გვერდზე“. ამ ძახილზე სალაშქრო რაზმეული გაიყოფა ორ ნაწილად: პირველი და მეორე რგოლი და მათ უკან მიმავალი მეოთხე რგოლი



ხელმძღვანელთან, მედროშესთან და მეტუქესთან ერთად გადადიან მარჯვენა და მოძრაობენ გზის მარჯვენა ნაპირზე; მესამე და მის უკან მიმავალი მეხუთე რგოლი მედროლით და რაზმის საბჭოს თავმჯდომარით თავში გადადიან გზის მარცხენა გვერდით და მოძრაობენ მარცხენა ბილიკზე. მარცხნით მიმა-



ვალნი მოძრაობის სისწრაფეს უსწორებენ მარჯვნივ მიმავალ რაზმს.

ამავე ძახილით უთავისუფლებენ გზას წინიდან ან და უკანიდან მომავალ ავტომანქანებს და სხვ. (იხ. სურათი 4.). ხელახალი გადაწყობა სალაშქრო რაზმეულში ხდება ძახილით: „გზაზე იარ“, რომლის მიხედვით რაზმის წინა ნაწილები, მიმავალნი გზის ნაპირზე, ერთდებიან დაწესებულ ხანებზე (მანძილზე) და განაგრძობენ მოძრაობას წინათ მიცემული მიმართულებით.

ძახილები „გზიდან გვერდზე“ და „გზაზე იარ“ სრულდება სირბილით.

ვიწრო ბილიკზე, ნათისის შუა, მდინარის გადალახვისას, ვიწრო, საფეხდაფეხო ხილზე ვასვლისას მოძრაობენ ცალედ რაზმეულად.

8. ზანაჟინი.

(გაგრძელება იქნება)

ბავშვებისთვის გამოდის
„პიონერი“ ჟურნალი,
და ჩვენ გულისფანცქალით
ყოველ ნომერს მოველით.
როცა ჟურნალს ვღებულობთ,
საჩქაროზე ვკითხულობთ,
ნაწერს ჩვენ ტოლ ბავშვების,
ნაცნობ-ამხანაგების.
„პიონერმა“ ბავშვსა
ბევრი რამე ასწავლა,
გონება და აზრები
იმან გაგვიმახვილა.
დღეის იქით ჩვენ ვთხოვდით
„პიონერის“ რედაქტორს,
რომ შემდეგი ნომრები
ალარ დაგვიგვიანოს.

მერი პეტრიაშვილი.

თელავის სანიმუშო დაწყებითი
III კლ. მოწ.

ათწლედ დამთავრებულს

თქვენ გაიმარჯვეთ. სამშობლო მთებში
დაწითლებული დევები წვანან,
ცაზე ბრჭყვიალებს ყვითელი თეფში
და დედამიწა გვიცინის მწვანედ.
მზეზე გეგნებათ გამოსატანი,
რასაც რვეულში თხზავდით „შავებად“,
ეგ თქვენი ცოდნა არის მადანი,
რომელსაც უნდა დამუშავება.
ეგ გამარჯვება ჩვენც ხომ გვახარებს,
ასე მოველით კარგ ნაყოფს ადრე,
თქვენგან შიილებს საბჭოთა მხარე
მებრძოლ თაობას, ღირსეულ კადრებს,
ასე ხალისით ვუსმინოთ ბელადს,
კრემლზე რომ დგება ფოლადის ტანით,
და ჩვენ პაროლად ვუჩვენებთ ყველას
მკერდზე დაწერილ „იოსებ სტალინს“!
თქვენ გაიმარჯვებთ, ეს ჩანს აშკარად.
გსურთ გაიმდიდროთ ცოდნის მარაგი,
ისე მიუშვით აზრთა ლაშქარი,
როგორც მოწხუის მთიდან არაგვი!
იარეთ წინ და ნუ შეგაშინებთ
გზაზე შეხვედრილ სიძნელეს შეხლა,
ბელადის სიტყვა ჭეჭდეს მაშინვე;
„კადრები წყვეტენ ყველაფერს ეხლა“!

გიგო ხარხაულიძე

განსახტომის I საცდ. სანიმ.
სკ. მოწაფე.

სამნი ძმანი იყვნენ. ოცდაათი თხა ჰყავდათ. ამათ-
გან ათს თითო თიკანი ჰყავდა, ათს — ორ-ორი,
ათსაც — სამ-სამი. ძმები გაიყარნენ. ყოველი ქონება
გაიყვას. ჯერი მიდგა თხების გაყოფაზე. უნდოდათ
ისე გაეყოთ, რომ თხებს თავიანთი თიკნები არ
მოსწყვეტოდათ და სამთავე ძმას თანასწორად შეხ-
ვედროდათ როგორც დედათხები, ისე თიკნები.
ბევრი ეწვალეს, მაგრამ ვერაფერს გაზდენ. შეექნათ
ცილობა. ბევრსა სთხოვეს ამ საქმეში დახმარება.
ვერაფინ შეძლო, ბოლოს... წავიღენ სხვა სოფელში
ერთ გამოცდილ კაცთან ამ საქმეში შემწეობის სა-
თხოვნელად. ერთი მინდვრის პირად შეისვენეს.
დაინახეს — იქვე ორი პატარა ბიჭი თიკნებს აძოვებ-
და. რალაცაზედ ერთმანეთს შორის ცილობა
მოსვლოდათ. ერთმა მეორეს წასძახა:

— შენ ისე გემართება, როგორც აიმ სამ ძმას,
თხები რომ ვერ გაუყვითაო!

ძმებმა ყურები დაცქვიტეს. ერთმანეთს შეხედეს.
თქვეს: მოდი, ერთი, გამოვესაუბროთ ამ ბიჭს:
ვნახოთ როგორი გამოყოფიაო!

მივიდენ. უთხრეს:

— შენ რა იცი იმ სამი ძმის ამბავიო?

— ვიცი, მაშა!.. ყველანი მათზე ლაპარაკობენო.

— მერე და შენ შეგიძლია გაყო იმათი თხები
ისე, როგორც ძმებს უნდათო?

— რატომაც არ შემიძლიანო!

— როგორ გაყოფო?

— ოცდაათი თხა არის და სამოცი თიკანი.
მიეციოთ უფროს ძმას თითო თიკნიანებიდან სამი
თხა და სამი თიკანი; ორთიკნიანებიდან — ოთხი
თხა და რვა თიკანი; სამთიკნიანებიდან — სამი
თხა და ცხრა თიკანი.

მიეციოთ საშუალო ძმას თითო თიკნიანებიდან
ოთხი თხა და ოთხი თიკანი; ორთიკნიანებიდან —
ორი თხა და ოთხი თიკანი; სამთიკნიანებიდან —
ოთხი თხა და თორთმეტი თიკანი.

მიეციოთ უმცროს ძმას თითოთიკნიანებიდან —
სამი თხა და სამი თიკანი; ორთიკნიანებიდან —
ოთხი თხა და რვა თიკანი; სამთიკნიანებიდან —
სამი თხა და ცხრა თიკანი.

ამრიგად თვითეულ ძმას შეხვდებოდა ათ-ათი თხა
და ოც-ოცი თიკანი და არც დედათხა მოსწყდება
თიკანს.

ძმებმა, განცვიფრებულებმა პატარა ბიჭის ჭკუ-
ით, ერთმანეთს დარცხენით შეხედეს, თავები დახა-
რეს და გახარებულნი დაბრუნდნენ შინისაკენ.

გ. ლომთათიძე.



გოგიას დედამა არტელის წევრები არიან. მას შემდეგ, რაც არტელში დაადგინეს, რომ თვითოეულ კოლმეურნეს უნდა ჰყავდეს ძროხა, გოგიას მამამაც შეიძინა ძროხა. გოგიას უყვარდა ბოჩოლა, ეალერსებოდა, ბალახს უზიდავდა და წყალს ასმევდა. გოგია პიონერი იყო და დავალებებს კარგად ასრულებდა. გოგიას ყავდა პაპა, რომელსაც ყალიონი მუდამ პირში ჰქონდა, ბებია დაჰპირდა გოგიას კარგად სწავლისა და შემდეგ ჯგუფში გადასვლისათვის ისეთ წინდებს მოგიქსოვ, რომ შენს ტოლებში არვის ჰქონდესო.

დედაც დაჰპირდა შემდეგ კლასში გადასვლისათვის შენი ამხანაგები დაპატიჟე ბალზეო. გოგიას დედა არტელში კარგად მუშაობდა, ქალებს რაზმავდა სამუშაოდ, ქალებიც მის მაგალითს მიჰყვებოდნენ და საქმე კარგად კეთდებოდა. კარგი მუშაობისათვის დედა რამდენჯერმე დააჯილდოვეს, მამა კი ბრიგადირი გახადეს.

აღმოსავლეთი ვარდისფრად შეიღება. ტოროლამ დაარღვია სიჩუმე. გაისმა ძაღლების ყეფა. სოფელმა გამოიღვიძა. გლეხებიც ეჩქარებთან სამუშაოსაკენ. ვინ ბარს აკეთებს, ვინ თოხს. რასაკვირველია, ვანოც გაემზავდა სამუშაოდ. დედამ მოწველა ძროხა. გოგია გამოაღვიძეს. არ უნდოდა გამოღვიძება, მაგრამ რა ქნას, რომ სკოლაში დაუგვიანდება! ადგა, ტანთ ჩაიცვა, პირი დაიბანა, ისაუზმა და მერე წიგნები გადაათვალიერა, მოამზავდა წასაღებად. ის იყო უნდა წასულიყო სკოლაში, რომ მოაგონდა დედის დაპირება: თუ კარგა ისწავლი, ბალზე დაპატიჟე შენი ამხანაგებიო. გაიქცა დედისაკენ და უთხრა ორშაფათს შემდეგ კლასში გადასვლის ნიშნებს მოგიტან და ამხანაგებს მოგიყვანო. დედა დათანხმდა.

მერე მიუბრუნდა პაპას და უთხრა უყარაულე ჩიტებმა არ ჩამიჭამონ ბალიო პაპამ დააიმედა შვილიშვილი და გაისტუმრა სკოლაში. წავიდა პაპა ბლისკენ, გააკეთა „საფრთხობელა“, რომ ჩიტებს არ ჩამოეკენკათ ბალი, და დაუწყო ყარაულობა, ბებია კი განაგრძობდა წინდების ქსოვას, რომ გოგიასთვის დროზე მოექსოვა ჯილდო.

გოგიას სწავლა დაუსრულდა. ხვალ კვირაა და შინ იქნება, ვერ ისვენებს, მისი გული მოუთმენლად ელის მეორე დღეს, რომ თვითონ უყარაულოს ბალს აჰა, გათენდა ეს დღეც. გოგია პაპას შეეხვეწა: მე თვითონ უყარაულებ ბალსო, პაპა დათანხმდა. გოგია ბლისკენ წავიდა, შეათვალიერა, იქვე წაშოწვა და დაიწყო ფიქრი სხვადასხვა საგნებზე. სწორედ ამ ფიქრებში ჩაეძინა. ფრინველებსაც ეს უნდოდათ, იხელთეს დრო და გაემართნენ ბალისაკენ. ჯერ შეეშინდათ „საფრთხუნის“, მერე კი დარწმუნდნენ, რომ არაფერი იყო საშიში, და დაუწყეს ბალს კენკვა. ვინ გინდა რომ აქ არ იყვნენ: ჯიხოყიტი, ბიჭო გოგია და სხვები. ბალით რომ გამოძლენ, მოლალურმა შემოსძახა „ბიჭო გოგია“. გოგიას ეძინა. მოლალურის დაძახებაზე წამოხტა და ბანი მისცა.

— ჰა, ჰა, აქა ვარ, მოდიო, მოდიო! მას ეგონა, რომ მისი ამხანაგები ეძახოდნენ, მაგრამ მოტყუვდა. როცმ გამოფხიზლდა, მიხვდა, რომ მის ბალზე მოლალური იყო და სწორედ ის ეძახდა. მეორე დღეს გოგიამ უამბო თავის ამხანაგებს თავისი თავვადსაგალი.

ლადო გულაშვილი

კარდანახის არასრული საშუალო სკოლის VII კლ. მოწაფე

დარაზმულან ფრიალებით

მზემ დაქარგა ოქროს თმებით.
 მშობლიური მხარე.
 მეც თქვენსავით რომ ვენთები, —
 თქვენებრ გავიხარე!
 ველარ იტევს ეს ძარღვებიც
 სისხლის ნიაღვარებს!
 მიუვალი კრთოან მთებიც,
 მათი კუნთიც გვათბობს...
 როგორ არ ავზმიანდები:
 შეგადარეთ მნათობს!
 დარაზმულან ფრიალები...
 სიხარული მათოვს!
 მერცხლებივით რომ იმღერით,

მნათობნი ხართ მართლაც...
 — მე ლაყვარღში, ყელმოღერით,
 რკინის ჩიტს გავმართავ!
 — მე გავხდები ინჟენერი
 და მთების გულს გავხრავ!
 ასე — ზოგი მფრინავები,
 ზოგიც ინჟენერი...
 მხარევე, უფრო მზიანდები
 ამ გულების ჟღერით!
 შენ ელვარე ფრიალებით
 ეს მერცხლებიც გშენის!

ვლადიმერ სულაზერიძე.

(ქუთაისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის მე-2 კურსის მოწაფე).

145 კარი

ა. ფელოტოვი.



ფაშისტებმა დაიპირეს როგოლუციონერი და მოათავსეს ის ძველებურ გერმანულ ციხის სარდაფში. საშუალო საუკუნეების ფეოდალებს უყვარდათ ასეთი შიშისქვეშა საპყრობილეების შენება ყოველგვარი ფოკუსითა და სეკრეტით.

ასეა ამ ნახაზზედაც, — გერგენება, თითქო მიწისქვეშიდან ძალიან უბრალოდ გამოხვალ. ყველა კარი ღიაა. ას ორმოცდა ხუთ კარში დაკეტილია მხოლოდ ცხრა. გერგენება, თითქოს შეიძლება გააღო უკანასკნელი გამოსასვლელი კარი და უცბად გაითავისუფლო თავი.

მაგრამ არც ისეა საქმე.

დაკეტილი კარი თავისთავად გაიღება თუ ის ძეცხრება, ე. ი. თუ შენ ამის წინ გაიარე რვა ღია კარი. თუ დაკეტილი კარი აღმოჩნდება 77 ან 11, მაშინ იგი არ გაიღება. შეცთომის გამოსწორება არ შეიძლება იმით, რომ გაიარო 2 ან 3 ზედმეტი კარი მეზობელი ოთახებისა. როგორც კი გამოხვალ რომელიმე ოთახიდან, ყველა გავლილი გაღებული


კარი იკეტება — მეორედ იმ ოთახში გავლა არც შეიძლება. საშუალო საუკუნეების თავადაზნაურობამ განგებ ააგო ასეთი საპყრობილე, რომ უფრო დაეტანჯათ თავისი მსხვერპლი. ფეოდალები ჩააგდებდნენ მსხვერპლს საპყრობილეში, გაუღებდნენ კარებს და ზევიდან სიამოვნებით დაცქეროდნენ, თუ როგორ ეძებდა საბრალო პატიმარი გამოსასვლელს.

რეგოლუციონერმა პატიმარმა თავისი კამერის (ნახაზზე ის აღნიშნულია ვარსკვლავით) კედელზე ამოიკითხა მიწისქვეშ საიდუმლოება, ლურსმნით დაფხაქნილი. დიდხანს იმტვრია თავი იმაზე, თუ როგორ გაიაროს ისე, რომ თითოეული დაკეტილი კარი ყოფილიყო მეცხრე; ბოლოს მან ეს ამოცანა გადაწყვიტა და გახარებულმა გაითავისუფლა თავი.

სინჯეთ, ბავშვებო, იქნებ თქვენც გაიგოთ, თუ როგორ მოახერხა პატიმარმა ოთახების გავლა და განთავისუფლება.

თარგ. მ. ზიზაშინსა.

145 კარი





— ბათუმში ა. მეგლადის სახელობის ა/ს რ საშ. ქა-
თულ სკოლა № 1-ში შედგა „პიონერის“ ათი წლის
იუბილე. მოხსენებით გამოვიდნენ მოწაფეები, პირველ
მოხსენებით გამოვიდა პიონერი ახმათ ტულუში, 6 კლ.
მოწაფე. მისი თემა იყო „პიონერის თანამშრომელთა
მხატვრული და იდეური ზრდა“. მეორე მოხსენების
თემა იყო ეურნალ „პიონერის“ მხატვრული ღირე-
ბულება“ მოხსენებელი — პიონერი ეთერ კეჭელაძე,
7 კლ. მოწაფე. მესამე მოხსენება „პიონერის“ იდე-
ური და სტილისტიკური გარჩევა“ — მოხსენებელი
პიონერი თამარ ჯაში, 6 კლ. მოწაფე. ყველა მო-
ხსენება შინაარსიანი, საინტერესო და გულდასმით
იყო მომზადებული. სკოლისა და პიონერორგანიზა-
ციის ხელმძღვანელობამ დიდი მუშაობა გასწია და
იუბილე კულტურულად მოაწყო.

— სენაკში სასწავ წლის დამთავრებასთან დაკა-
ვშირებით გაიმართა ბავშვთა ზეიმი. ზეიმზე დაჯილ-
დოვებული იქნენ საუკეთესო მოწაფეები და
მშობლები. ზეიმი გახსნა შესავალი სიტყვით განათ-
განის გამგემ ამხ. გ. ხარიშვილმა. ზეიმს დაესწრენ
განათლების განყოფილების მიერ ტფილისიდან
სპეციალურად მოწვეული სახელგამის საბავშვო და
ახალგაზრდობის ლიტერატურის ხელმძღვანელები
ამხ. აკ. რეხვიაშვილი და მწერალი როდიონ ქორ-
ქია. ამხ. რეხვიაშვილმა წაიკითხა მოხსენება საბავშვო
და ახალგაზრდობის ლიტერატურის მდგომარეობაზე,
ხოლო ამხ. როდიონ ქორქიამ მარშაკიდან გადმო-
კეთებული საბავშვო პოემა „ფოსტა“, რომელიც
ბავშვებს ძალიან მოეწონათ.

— სახელგამის საბავშვო და ახალგაზრდობის
ლიტერატ. სექტორმა გამოსცა ყირიმის პიონერბა-
ნაკის „არტეკის“ 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად
პოეტ ალიო მაშაშვილი მარში „არტეკი“ კომპოზიტორ

გრ. კოკელაძის მუსიკით, ტირ. 4000, ფასი 1 მან.
იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიაში.

— ფოთის საბავშვო თეატრმა ამხ. დაშა ლოლუას
ხელმძღვანელობით დაასრულა გასტროლები კოლხი-
დის რაიონებში და დაბრუნდა ფოთს. ქალაქის
საბჭომ თეატრის კოლექტივი დასასვენებლად გა-
გზავნა საბავშვო კურორტ მალთაყვაში. თეატრი
ემზადება ახალი სეზონისათვის.

— 30 ივნისს პატარა ცემის სანატორიუმის პიო-
ნერბანაკმა დადგა საბავშვო კონცერტი პატარა
კომპოზორ ვიზო ამირაჯიბის ხელმძღვანელობით.
კონცერტი მშვენივრად ჩატარდა. კომპოზიტორი
ვიზო 6 წლისაა.

— № 3 „პიონერში“ გამოქვეყნებული აკაკის
გამოცანები გამოიცნეს და რედაქციას ცნობა გამო-
უგზავნეს საჩხერის ა/ს სანიმუშო სკოლის მე-3 კლა-
სის მოწაფეებმა მოშე და არონ ელუაშვილებმა.

— სახელგამის საბავშვო და ახალგაზრდობის სექტო-
რმა გამოსცა შემდეგი წიგნები: ილო მოსაშვილის
„ერთად“, მხატვარი ს. მაისაშვილი, გ. ნახუტრი-
შვილის „სილვა ვასილევია“, მხატვარი ელ. ახვლედიანი,
ჯ. სვიფტის „გულიერის მოგზაურობა“, ღორეს
სურათებით, გ. კაჭანიძის „მხიარული მეგობრები“,
მხატვარი ს. მაისაშვილი, პანტელეევისა და ბელი-
ხის „რესპუბლიკა შვიდ“, მხატვარი ა. თევზაძე;
ბეზორაღოვის „ბოლშევიკებმა აღმოაჩინეს ციმბი-
რი“, ე. ნინოშვილის „მოსე მწერალი“, „პალიას-
ტომის ტბა“, „განკარგულება“ და „გოგია უიშვილი“
მხატვარი ელ. ახვლედიანი; ან. კოჩლავაშვილის
„ეპიზოდები ედისონის ცხოვრებიდან“; ს. მგალო-
ბლიშვილი „ყაყიტას ქურდი“, მხატვარი ს. მაისა-
შვილი.

კლ. თევზაძე

ა მ რ ც ა ნ ა

მოცემულ ციფრების ადგილზე უნდა ჩავსვათ ესა თუ ის ასო და მივიღებთ იმ მნიშვნელობის
სიტყვებს, რაც მიწერილი აქვთ მარჯვნივ ამ ციფრებს. ერთნაირი ციფრების ადგილზე ერთნაირი
ასოები უნდა ჩავსვათ. მიღებული სიტყვების პირველი ასოები წავიკითხოთ ზევიდან. რა გამოდის?

1

- | | |
|--------------------|----------------------|
| 1. 2. 3. 4. 5.2. . | სუბტროპიკული მცენარე |
| 6. 5. 7. | სამეტყველო ორგანო |
| 5. 7. 8. 2. . . . | სარეველა ბალანი |
| 2. 8. 2. 5. 6. . . | ქალის სახელი |
| 5. 6. 9. 2. . . . | თითის სახელი |
| 6. 8. 10. 2. . . . | კენტი რიცხვი |
| 1. 4. 3. 2. . . . | უძლიერესი ცხოველი |
| 2. 4. 8. 2. . . . | მდინარე საქართველოში |

2

- ომი
 - კამი
 - ვლისი
 - ფილისი
 - ავი
 - ტამი
 - ა
- ხაზების ადგილას აკლია ესა თუ ის ასო. დანაკლისი ასოები დავსვათ ხაზების
ადგილას ისე, რომ მივიღოთ სიტყვები; ხოლო მიღებული სიტყვები გადავსვათ
(ადგილები შეუცვალათ) ისე, რომ პირველმა ასოებმა მოგვცეს მსოფლიო
პროლეტარიატისა და მშრომელი მასების ბელადის გვარი.



რ ე ბ უ ს ი

ნი



” ხე



”



ქა



მფრ



ქა



წარმოდგენილია 8 პოლტ. სკ. მე-ნ კლ. მოწათე გულიკო ლიბრაძის მიერ



შანის მე-
სამე პირი

ახსრის
დალაქაძე

მაკრობითო-
ბის ალენიშვა
ლი ნიშანი სა-
ხანაშვი



მიმართულებით
ბრუნვის
დახლოება

წარმოდგენილი კლ. თევზძის მიერ